645
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა



СССР
ЗНАК ПОЧЕТА

# საქართველოს ქალი

ნოემბერი
№ 11 1980 წ.

ISSN 0321-1509

ეროვნული ბიბლიოთეკა



იოსებ ნონეშვილი

# გვიყვარდეს საქართველო!..

სხვა შუქმადლით ბრიალებს
რესპუბლიკა ჩემი...
და მთებს მხარბეჭიანებს
მზის ღიმილი შვენით.

დე გაბრწყინდეს მზესავით
მშობლიური მხარე.
გვწამდეს ის, რაც დღეს არის,
რაც იქნება ხვალე.

გვწამდეს მისი სიმაღლე,
უკვდავება მისი,
ამაოდ არ დაღვრილა
მამა-პაპის სისხლი!.

სისხლი თავდადებულთა
ჩვენს ძარღვებში წვეთავს:
გვიყვარდეს საქართველო!...
გვიყვარდეს საქართველო!...
გვიყვარდეს საქართველო
სიცოცხლეზე მეტად!..

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

# საქართველოს სახელოვანო მშრომელებო, გილოცავთ დიდ გამარჯვებას!



## მოიკრიფა 800 ათას ტონაზე მეტი ყურძენი!
## დამზადდა 500 ათას ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული!

16429



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა ბარათაშვილი

# ჟამი სთვლობისა

ახლა სექტემბრის მინურულია და ჟამი სთვლობისა დგას საქართველოში. ჩემი კახეთის გზას მივუყვები. ჩემი კახეთისა-მეთქი. დიახ, ჩემია. ჩემი ყველა კუთხე საქართველოსი. ყველა მათგანის სიხარული მახარებს და სატკივარი მტკივა.

ახლაც იმაზე ვფიქრობ, სად, რომელ კუთხეში როგორი ტაროსი უდგათ, სად, რას მოისთვლიან ადამიანები, რით და როგორ ცხოვრობენ ჩემი თანამემამულენი.

გეზი მე და ჟურნალისტ ლ. კაკაბაძეს გურჯაანისაკენ გვაქვს აღებული. იქ კარგა ხანია რთველია გაჩაღებული, საგარეჯო კი ყურძნის დატკბობას ელოდება და მხოლოდ მომავალი კვირიდან იწყებს რთველს.

გულმა არ გაგვიძლო ამ რაიონის ხელმძღვანელობისათვის გვერდი აგვევლო და არ გამოვხმიანებოდით. ალბათ იმიტომაც, რომ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ქალია. განსაკუთრებით გვაინტერესებს ამ რაიონის ცხოვრება. გვეამაყება მისი წარმატებები.

მედეა მეზვრიშვილი პარტიის რაიკომში, თავის „საგუშაგოზე“ დაგვიხვდა. „საბრძოლო იერიშებისათვის“ სამზადისშია გართული. ამინდის ბიუროს შეუფიქრიანებია, ოქტომბრის პირველ რიცხვებში აცივდებაო და მდივანი ღელავს. მას ახლა მზიანი დღეები უნდა, რაც შეიძლება მეტი სითბო! რომ შეეძლოს, ციდან მზეს მოიტაცებდა და ორიოდ კვირით დაატყვევებდა საგარეჯოში. უყურებ და ფიქრობ, რომ მგონი ამასაც შესძლებს მეზვრიშვილიანთ ეს ვაჟკაცური შემართების დიდებული ქალი.

საგარეჯოს გავცდით. აქ შემოდგომის ოქროცურვილში ჩამდგარ ზვრებს შესევია დიდ-პატარა.

ჭირისა თუ ლხინის ერთობლივი გაზიარების ტრადიციისათვის არ უღალატნიათ და საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან და დედაქალაქიდანაც თავთავიანთი საბარგო მანქანებით ჩამოსულა მშრომელთა კოლექტივები. რომ მხრებიდან ტვირთი ჩამოხსნან კახელი კაცის ხელით ნალოლიავებ. ოქროს მტევნებით დაზნექილ ვაზებს. და ისმის ჟრიამული. გუგუნი. ივსება გოდრები. მანქანები...

ამ გზით ბევრჯერ მივლია. მიცხოვრია კიდეც საგარეჯოში. ველისციხეში, ყვარლის რაიონის ახალსოფელში, ლაგოდეხში...

მაგონდება 30-იანი წლების პირველი შთაბეჭდილებები... დასავლეთ საქართველოს ეზოების ფერადოვნებას შეჩვეულს, მაოცებდა უჩრდილო, უფერული, გაღახრუკული კარ-მიდამოები.

გამოხდა ხანი და აი, თვალს აჭარებს დახუნძლული ხეხილით და ყვავილებით ათასფრად აფერადებული ეზო-კარი. სახლები ხომ... ვერ განასხვავებთ რაიონის ცენტრში იმყოფებით თუ მოშორებულ სოფლებში. ზოგიერთ ძველ თავადს შეშურდებოდა დღევანდელი კოლმეურნე გლეხის სახლკარი და ყოფის კულტურა.

საოცრად შეიცვალა სოფლელი ადამიანის იერსახეც — შინაგანი ღირსებით აივსო და მხარი გაშალა. სადღა ნახავთ საკერებლუპით აჭრელებულ ტანსაცმელს! ძველმანებში გამოწყობილი, ზვრებში სამუშაოდაც არავინ გამოვა.

დილაა. ჯერ გაკვეთილები არ დამდგარა და სკოლის ეზოები ისეთი ლაზათით მორთულ გოგო-ბიჭებს აუვსიათ, რომ ქალაქელებისგან ვერ გამოარჩევთ.

პარტიის გურჯაანის რაიკომის შენობაში, პირველ სართულზე „შტაბია“ მოთავსებული. აქ იყრის თავს ცნობები რაიონის ყოველი სოფლიდან, მისი ზვრებიდან. მყუდრო ოთახში მანქანას უზის ადამიანი. იგი ინიშნავს და აჯამებს ჩუმლაყისა, ახაშნისა, ჭადრის უბნისა თუ რაიონის სხვა ზვრებიდან მიღებულ ცნობებს და ამრიგად რაიონის ხელმძღვანელობის თვალწინ გადაშლილია რთვლის მიმდინარეობის მთელი სურათი.

ჩვენი აქ ჩამოსვლის მთავარი მიზანია გურჯაანში მშენებარე საავადმყოფოსთან საგუშაგოს დაარსება. საავადმყოფოს მთავარი კორპუსის საექსპლოატაციოდ გადაცემა წლეულს IV კვარტლისათვის არის გათვალისწინებული და გვაინტერესებს, როგორ სრულდება ეს გადაწყვეტილება.

საერთოდ კი ბევრი რამ გვინდა ვიცოდეთ: რა სიახლეებია რაიონში, როგორ ცხოვრობენ და შრომობენ ჩვენი ქალები — რა უჭირთ, რა ულხინთ. ფერეიდნიდან დაბრუნებული და აქ დასახლებული ოჯახებიც გვინდა მოვინახულოთ და კიდევ ერთი-ორი ადამიანის ბედი გვაინტერესებს — დახმარებისათვის რომ მომართეს ჩვენს რედაქციას.

ყურადღებით გვისმენს პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ბიჭიკო შინჯიაშვილი. მართალია, ახლა იგი მთელი არსებით რთველშია ჩართული, მაგრამ რაიონის ცხოვრების არცერთი კუთხე-კუნჭული უყურადღებოდ არ რჩება, რაშიც უშუალოდ ვრწმუნდებით, რედაქციისათვის ცნობილი ერთ-ერთი კონფლიქტის სამართლიანად მოგვარების ფაქტზე.

სულ მალე გურჯაანის ცენტრში, შემაღლებაზე გაშლის მხრებს რესპუბლიკის ერთერთი სანიმუშო საავადმყოფო 332 ადგილიანი სტაციონარი თავისი პოლიკლინიკით. იგი სამშენებლო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შენდება და მედიცინის უახლესი მოთხოვნების საფუძველზე. დაკომპლექტდება. გვაოცებს მშენებლობისთვის უჩვეულო სიწყნარე. მუშებსაც ვერ ვხედავთ — მთელს პროცესს მემონტაჟეები მართავენ. აქვეა სამშენებლო კონსტრუქციების საწარმოც, ხოლო აპარატურის დიდი ნაწილი უკვე მოსულა რაიონში და გამოყენებას ელოდება. მომავალ საავადმყოფო-პოლიკლინიკას 6 ჰექტარი აქვს დათმობილი. ფრთას შლის საავადმყოფოს მთავარი ექიმის ელიზბარ მნყერაძის ოცნება — ფერმა, დამხმარე მეურნეობები. საავადმყოფოს საკუთარი ხილ-ბოსტნეულითა თუ სხვა პროდუქტებით მომარაგება... მისი ძველი საავადმყოფოს კოლექტივს შარშან საკუთარი წარმოების მარტო 10 ტონა ხორცი ჩაუბარებია სახელმწიფოსათვის, წლეულს 50 ტონის ჩაბარებას ვარაუდობს.

...ახლა ყველა ზვრებშია გაკრეფილი და ფერეიდნელი ქართველების კარმიდამოც მიყუჩებულა. მხოლოდ ერთი ოჯახის დიასახლისი დაგვიხვდა შინ, რადგან შეუძლოდ ყოფილა. ეტყობა, რაიონის ხელმძღვანელობა ამ ოჯახების ხშირი სტუმარია და მათთვის გულმხურვალე მზრუნველი — რაიკომის მეორე მდივანს მოსე სამადაშვილს დიასახლისი სახეგაბადრული შეეგება და შინ შეგვიპატიჟა.

შუადღის შესვენებაა და ბიჭებმა მოაკითხეს დედას, როგორა ხარ, ხომ არაფერი გჭირდებაო. ამ ქალის სამი შვილი ფერეიდანში დარჩენილა. გერებს კი საკუთარი დედა ფერეიდანში მიუტოვებიათ და საყვარელ დედინაცვალს გამოჰყოლიან საქართველოში.

იმედით შევყურებ ამ ახალგაზრდებს — მშობლიურ მიწაზე დასაფუძნებლად დაბრუნებულებს, ოცნების თვალით ვხედავ მათ და მათთან ერთად ყველა ფერეიდნელ ჭეშმარიტ ქართველს, ჩვენთან შერწყმულს, გამრავლებულსა და გამარჯვებულს.

...მშობელი ქვეყნის აყვავების, ხალხის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის სამსხვერპლოზე მიუტანია გურჯაანელ მახარაშვილს თავისი პირმშოსი და საკუთარი სიცოცხლეც. მახარაშვილს-მეთქი? ეს ერთ სახეში შენივთულ-შედუღაბებული იმ 300 ათასი ქართველის ძეგლია, მეორე სამამულო ომს რომ შეეწირა. ძეგლის ირგვლივ, კარგა ფართობზე შემორკალულ მემორიალურ დაფაზე რაიონის ყოველ სოფელს თავისი ძვირფასი შინმოუსვლელების სახელი და გვარი ამოუტვიფრავს. აქვეა შინმოუსვლელთა მუზეუმიც, ღია კინოც, სადაც კვირაში ერთხელ უჩვენებენ სამამულო ომის თემაზე შექმნილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტურ თუ მხატვრულ კინოფილმებს. და ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს ამ ფილმებს მემორიალთა „მკვიდრნიც“ უყურებენ და კიდევ და კიდევ რწმუნდებიან, რომ არავინ და არაფერია დავიწყებული...

მათი ხსოვნის სადღეგრძელო შეისმება იმ ახალდაყენებულ ღვინითაც, ახლა რომ ყურძნად იკრიფება და მარნებში იგზავნება დასაწურად. შეისმება ყოველ შეკრებაზე, ყოველ სუფრასთან, ყველა ოჯახში.

ახლა ეს ოჯახები რთველში გაკრეფილან. ჟამი სთვლობისა ჩამდგარა ზვრებში და იღებს წლის შრომით მონეულს. სადაც არის ასაღამოვდება. მაგრამ ამ ახაშნელ ქალებს საქმე არ ეთმობათ, ეზიდებიან და ეზიდებიან ყურძნით სავსე ჭურჭელს.

ერთდროულად თხუთმეტამდე ქალი გამოვიდა ვენახიდან, კალათები დაცალეს და ნამით შესასვენებლად ჩამოსხდნენ.

— როგორ ხართ, ქალებო? — ვეკითხებით ტრადიციულად.

— შრომაში, მაგრამ კარგადა ვართ! — გვპასუხობენ ისინი.

ოჯახში კი არა გვაკლია-რა, მაგრამ აი, მუსიკალური სკოლა რომ არა გვაქვს სოფელში, ის მაღონებს, საიდან სად მიხდება ბავშვის ტარება, — ამბობს ახალგაზრდა.

— რა შორს გურჯაანია, რომ მაგაზე წუწუნებ? — შეესიტყვა მეორე.

— სხვა სოფლებს თუ აქვთ?

— თქვენც გექნებათ, — ამშვიდებს რაიკომის მეორე მდივანი.

— მერედა მუსიკის მასწავლებელიც ხომ ყოველ სკოლაშია! მთავარი ჩვენი გასაჭირი წყალია, აი, წყალი კი გვაკლია!

— ზოგან საუბნო გზებსაც მოასფალტება ჭირდება, თორემ იმდენი მანქანა გარბი-გამორბის სოფელში, რომ ბინები მტვრით გვევსება.

— თანდათან ყველაფერი მოგვარდება. — ჰპირდება სამადაშვილი.

— ამბულატორიაც ჩემი უბნიდან მოშორებით არის. ბალღი რომ ავად გაგვიხდეს...

— რამდენი გყავთ? — ვეკითხებით.

— ერთი.

— თქვენ?

— ერთი... ორი... — გვიპასუხებენ ქალები...

— მერე? „ვაზო, შვილივით ნაზარდოო“ ვენახს რომ შეღიღინებთ, ერთი და ორი „ნამდვილი“ შვილი გეყოფათ? იმათაც, აქაოდა მეზობელს რად ჩამოვრჩეო, ინსტიტუტებში გზავნით, შემდეგ კი ბევრი მათგანი სოფელში აღარც ბრუნდება, მაშ ეს დიდებული სახლ-კარი ვისთვის გიშენებიათ და მოგიწყვიათ?

— ეგეც მართალია... ფულსა და ცხოვრებას გამოვეკიდეთ და — „ფანცი-ფუნცი გაცვდება და შავი ჟამი დარჩებაო“, — ჩაილაპარაკა ხანდაზმულმა.

— სოფელში მაინც გეყოლებათ მრავალშვილიანები.

— ექვსი, რვა, ათი რომ ჰყავდეს? ეგეთი ვინ არის? — ვეღარ მოიგონეს ქალებმა.

— მე კი ორიც ძლივს გავზარდე.

— რათა? ბაგა გვაქვს და ბაღი! და ი რაღაც საზღვარგარეთული ყუთებით სახლის ავსებასა, ერთი-ორი აკვანი კიდევ დაგედგა, ის გერჩივნა.

— ადვილად ითქმება.

— ომმა დამინგრია ოჯახი თორემა, — ამოიოხრა ხანდაზმულმა.

— სამი-ოთხი შვილი რომ მაინც მყოლოდა... თქვა ერთმა დანანებით.

— სამი-ოთხიო?

— რა გებევრა! დიდედა ჩვენებს ათი და თორმეტი ჰყავდათ, დედებს ხუთი-ექვსი მაინცა. თან ხომ არც არა გააჩნდათ-რა! ჰოდა ჩვენ სამი და ოთხი რომ გვყავდეს, ზოგი თუ ქალაქში დარჩებოდა, ზოგიც აქაურობას მოეპატრონებოდა და სიბერეშიც მოგვხედავდა...

— ჰოო... ეგრეა...

— მე შენ გეტყვი და ექიმს, ინჟინერსა თუ მასწავლებელს აქ კი არ ექნებოდა საქმე, პიანინოც კი გვიდგა, მაგრამ იგრეა დამუნჯებული... ნეტავი რად ვყიდულობდი, რაში გამოგვადგება.

— შენც ადექი, გამოფატრე, და შიგ ლობიო ჩაყარე, — იცინიან ქალები.

...ასაღამოვდა, ხმაური მინყნარდა ზვრებში და ახლა ორღობეებში და ეზოებში გადაინაცვლა, გზაზე ჯგუფ-ჯგუფად დგანან ნაჯაფი ადამიანები, დღევანდელ ნაშრომს აჯამებენ და ხვალინდელს გეგმავენ.

რთველია კახეთში, რთველი!

ყოველი მეურნეობა, ყოველი ოჯახი ისთვლის, რაც წლის განმავლობაში დიდი შრომით მოუწევია.

თქმა არ უნდა, გურჯაანის რაიონი გეგმა-ვალდებულებას — 150 000 ტონა ყურძნის მოსავალს გადააჭარბებს.

ამ წლის ბოლოსათვის მწყობრში ჩადგება დიდებული საავადმყოფო, კიდევ რამდენი რამ აშენდება და დამშვენდება ამ რაიონში.

და კიდევ ბევრი კოლმეურნე კეთილმოიწყობს თავის ცხოვრებას ამ წლის შრომის მონაგარით.

დაე ყველას კეთილად შერგებოდეს თავისი პატიოსანი შრომით მოპოვებული! სავალალო ის არის, როდესაც ადამიანს საკუთარ კეთილდღეობაზე გადაჭარბებული ზრუნვა შეიპყრობს და სინდის-ნამუსზე ხელს აღებინებს, როდესაც ქარის მოტანილი ისევ ქარს გააქვს და ბოლოს, „კაიკაცობის“ საზღაურად, ადამიანი ისე უმწეო რჩება, როგორც მდინარიდან ცხელ სილაზე გამორიყული თევზი, თან შერცხვენილი და თავლაფდასხმულიც, ახლა მეტი უბედურება რა უნდა იყოს, ანგარების მძიმე სენი ოჯახშიც რომ შეიჭრება და მშობლებსა და შვილებს შორის, და-ძმას შორის გადაულახავ ზღუდედ ჩადგება? ერთერთი ასეთი კონფლიქტის გასარკვევადაც ჩამოვედით დღეს აქ და ამ ეპიზოდის — დედა-შვილს შორის ამტყდარი დავის გახსენებაზე გული გვიმძიმდება.

უსიამო ჟამი სთვლობისა დადგომია მოხუც ქალს, მაგრამ ვინ დავადანაშაულოთ?

ჟამი სთვლობისა დგება ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში, „რასაც დათესავ, იმას მოიმკიო“, — ბრძენ ხალხს უთქვამს.

მაგონდება რედაქციაში შემოსული არაერთი წერილი თუ ადამიანი, არაერთი გახმაურებული პროცესი...

აგერ, კაკაბეთსაც ახლო ჩავუარეთ და კიდევ ერთხელ შეგვზარა იქ დატრიალებულმა სამარცხვინო ამბავმა...

„ბოროტსა სძლია კეთილმან“, — გვამშვიდებს დიდი რუსთაველი, მაგრამ ეს მსხვერპლი, — „ფარული ომი“ რომ გვტაცებს და გვისახიჩრებს ადამიანებს?

არც ისე მრავალრიცხოვანი ვართ, რომ ყოველი ადამიანის სიცოცხლე არად გვიღირდეს. და მერე ოჯახისა და მთლად ერის სირცხვილ-ნამუსი?!

სოფელი ღონიერიაო და მართლაც ღონიერია სოფელი, იმდენად ღონიერი, რომ თუ მოინდომა, მთებს შეაბრუნებს — აკი აბრუნებს კიდეც და ზღაპრებს სინამდვილედ აქცევს, დიახ. სოფელ-ქვეყანას დიდი ძალა აქვს და ეს ძალა სჭირდება კიდეც, ისევ თავისდა საკეთილდღეოდ, ბოროტის დასათრგუნავად, კეთილის დასამკვიდრებლად.

...სავსე მთვარე დანათის კახეთს, სიწყნარე სადგურდება მის ოჯახებში. მალე დაღვინდება ტკბილი, დაჯდება ლხინად კახეთი. ახლა კი რადიორეპროდუქტორიდან ისმის კახური მრავალჟამიერი.

მრავალჟამიერ სიცოცხლე, ჩემო კახეთო და მთლად საქართველოვ!

მრავალი და მრავალი სიკეთის სთველი შენს ზვრებს, კელმინდვრებს. გამრავლება და ბედნიერება შენს ოჯახებს, ჩემო სამშობლოვ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ვინც შეასრულა პირადი ხუთწლედი

# მღერის ათასი მზე

ნარკვევი

ხალხური გადმოცემით, აქ რომელიღაც ქართველ მეფეს გაუვლია და მუხლი ჩაუხრია... სახელდახელოდ საბრძანებელი გაუმართავთ მეფისთვის, მერე ეს ამბავი ხალხს თავის ენაზე მოუნათლავს და ამ ადგილისთვის ნატახტარი უწოდებიათ... კიდევ ერთ ასეთ გადმოცემას გაიგონებთ პატარა სოფელ მისაქციელზე, მეფეს გამოვლისას წყალი მოუკითხავს და ღვინო მიურთმევიათ, მეფეს მასპინძლისთვის საქციელი შეუქია და... ასე დარქმევია სოფელს სახელი.

თავისი დღე და მოსწრება აი ამ პატარა სოფელში ცხოვრობს სოფიო ხიტალიშვილი, ქალი, რომელზეც ეს ნარკვევი იწერება.

ორივე — ნატახტარიც და მისაქციელიც ცენტრალურ ავტოსტრადაზე მდებარეობს.

მთელი ავლადიდება გარეთ გამოუმღერებიათ მცხეთის სოფლებს, შემოდგომის ფერებით ირთვება მისაქციელი...

სპილენძისფერი დედაკაცი ნაჯაფ ხელებს ზურგს უკან წაიღებს, მოკრძალებულ მზერას შემოგვაყოლებს...

აი ასეთი სოფიო ხიტალიშვილი მყავს ჩემს წარმოდგენაში...

სოფიოს ბრიგადას რომ ვესტუმრეთ, იქ მხოლოდ ახალგაზრდა ბრიგადირი შოთა ბრაჰაული დაგვიხვდა. ბრიგადირმა სოფლისაკენ მიმავალ გზას გახედა და გვითხრა, სოფიომ ერთი ფეხით გაგასწროთო.

ბრიგადირი ცნობისმოყვარეა და პირს მომდგარ კითხვას უკან არ წაიღებს:

— რად გინდათ სოფიო ხიტალიშვილი? — გვეკითხება და არც გვეკითხება, რადგან პასუხს არ გვაცლის და თავად განაგრძობს: ცალი და ბადალი არ ჰყავსო სოფიოს, მარტო მისაქციელში კი არა, მთელ მცხეთაში...

შუაგული შემოდგომაა მისაქციელში, სოფლის ორღობეში ჩამობერტყილი კაკლების ზურმუხტისფერ ხალიჩას მივყვებით, ცაზე ტყვიისფერი ღრუბლები ირევა, სადაც არის, გაწვიმდება.

წვიმის თხელი, სიფრიფანა წვეთები დაპრეცად ეშვება სოფიო ხიტალიშვილის სახლის სახურავზე და შემოდგომის მთელ ამ სურათს აბრიალებული კომშები, აივანზე გულუხვად დაყრილი ყვითელგულა სიმინდის ტაროები და ინდაურების, ქათმების კრიახქოთქოთი აგვირგვინებს. სახლის გვერდით, ბოსლის წინ ოჯახის მარჩენალი ფური იცოხნება დინჯად.

ესეც სოფიო ხიტალიშვილი! — რკინის ჭიშკარში დგას მომღიმარი დედაკაცი.

თვალი უნებლიეთ მის შრომისგან დაღარულ ხელებისაკენ გამექცა...

სოფიო ხიტალიშვილი... ზუსტად ისეთია, როგორსაც ვფიქრობდი... სამოც წელს მიტანებული, ბევრის მომსწრე და გადამტანი, მაინც მხნე და ხელგაუჩერებელი...

* * *

ათასი მზე ამღერდა ვასო სვინტირიძის ღარიბულ ქოხში, გოგო გამიჯნურებულია და ქვეყანა თავისი ჰგონია.

„დასაწუნი არაფერი აქვს, ღმერთმანი, ი ბიჭსა... პატიოსანი... მშრომელი... ჰო, ასე იციან ხოლმე სოფელში, როცა კაცზე სიტყვა მიდგება"... ფიქრობს გოგო.

„— სადაური პატარძალი მე ვიყავ, თქვენი ჭირიმეთ, რა მქონდა საპატარძლო ერთი!... გავიყარეთ და ერთადერთი სამარილე შეგ ვხვდა მე და იმ უბედურსა. კოლექტივში ვიყავით ორივე... ღარიბები კი ვიყავით, მაგრამ რა გვიჭირდა, მშვიდობა თუ იქნებოდა!..."

„...რა ცხვირპირი ჩამოგტირის, რა მზე ჩაგისვენებია და ღრუბლები აგშლია! — მითხრა გულჯავრით ვასომა"...

„— რა მემზევებოდა, ერთი მითხარით!

ეგ არი, ცრემლი არ ჩამომიგდია, თორემ სუ მდუღარე ჩამდიოდა გულში...

— წავიდა და წავიდა ვასო, იმისთანები კი ჩაყლაპა ოხერმა ომმა!...

— წელებზე ფეხს ვიდგამდი კოლექტივში"...

და ერთადერთი წერილი დნეპროპეტროვსკიდან:

„სოფიკო, დამელოდე, დამელოდეპი, ხო?.."

მერე... შავი ბარათის ზარი და მელოგინე ქალის უნაპირო, უძირო სევდა...

* * *

„— ...ერთი ყუთი მქონდა... ტანსაცმლისთვინა... ტანსაცმელი კი არა და... სად მექვავა ტანსაცმელი!.. სახლი, თორე... იგრე წვიმდა შინა, როგორ გარეთა... ოთარა, ჩემი ბიჭი, სტოლის ქვეშა მყავ გაზრდილი, ხო გითხარით, წვიმდა-მეთქი შინა... სტოლს კლიონკას გადავაფარებდი და ქვეშ ბიჭ გაუშლიდი ლოგინსა... მანამ გადაიღებდა, კარქვეშ ვიყავ ატუზული და იქიდან ვუთვალთვალებდი ბიჭსა.. დიდი უბედური ცხოვრება იყო".

„...ეს სახლი სუ ამ ხელებით ავაშენე.

...„ეხლა მუდმივი გაზი გამოვიყვანეთ... ეხლა?.. ჩემი თავი ბატონი მგონია, ორი ტელევიზორი მაქ, ყველაფერ ხო არ ვიტყვი"...

— რამდენი შვილიშვილი გყავთ?

— ოთხი.

— ღმერთმა გამრავლოთ!

— მადლობთ!..

* * *

— „...ჩვიდმეტი წლისას ოთარა მყავდა, ტრაქტორისტია...

...ერთთავად სიზმრებში ვიყავ, მე უბედური, მივრბოდი და გაქცეულ მზეებს მივდევდი... ასე სირბილ-სირბილში გამომეღვიძებოდა..."

„...დამელოდეო, სოფიკო", იხვეწებოდნენ სიზმრები.

* * *

გზაში ისევ ის ბიჭი — ბრიგადირი შემოგვხვდა.

წეღანდელი საუბარი გავაგრძელეთ:

— პამიდორს რამდენს გპირდებათ სოფიო?

— 130 ცენტნერს.

— რა ფართობიდან?

— 0,3 ჰექტარიდან.

— გეგმა რა აქვს?

— 62 ცენტნერი...

— თვითონ ბრიგადას?

— ჰექტარზე 21 ცენტნერი...

— კომბოსტოც ჰქონია...

— ჰო, ოცდათხუთმეტი მეასედი, 270-ს მიიღებს 87,5 ცენტნერის ნაცვლად.

25 ცენტნერი ყოფილა ბრიგადის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობის გეგმა.

— მეურნეობა წლეულს 5 000 ტონაზე მეტ პამიდორს დაამზადებს, 1.300 ტონა კომბოსტოს... სხვაა ხილი, ყურძენი, ჭარხალი, სტაფილო, მეცხოველეობის პროდუქტები... მეურნეობა მრავალდარგოვანია, — გვეუბნება ბრიგადირი.

საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიონულ კომიტეტში საგულდაგულოდ აჯამებენ მოწინავეთა პირადი ხუთწლედის შედეგებს.

საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიონული კომიტეტის წევრმა, კომუნისტმა სოფიო ხიტალიშვილმა ორმაგად შეასრულა პირადი ხუთწლედი. ნატახტრის მერძევეობა-მებოსტნეობის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის მოწინავე მებოსტნემ X ხუთწლედში მშრომელთა სუფრას 14.000 ცენტნერამდე მაღალხარისხოვანი ბოსტნეული გაუგზავნა 6.800 ცენტნერის ნაცვლად.

* * *

და ისევ რკინის ჭიშკარში მდგარი ნაჯაფარი დედაკაცი მიდგას თვალწინ, ზურგს უკან ჩუმად წაღებული შრომისგან დაღარული ხელებით...

წვიმის თხელი, სიფრიფანა, ცისფერი ხვეტები დამრეცად ეშვება სოფიო ხიტალიშვილის სახლის სახურავზე, ეზოში ფური იცოხნება, აივანზე ცნობისმოყვარე შვილიშვილები ახკდებიან ერთმანეთს.

სოფლის ორღობეში ნედლი კაკლით უბესავსე ბიჭები უხალისოდ მიდიან სახლებისაკენ...

ათასი მზე მღერის სოფლის ორღობეში...

**დალი დვალი**



270 ცენტნერზე მეტს მივიღებ



მინ...



შენ კი მენაცვალოს, ბებია..

ეროვნული ბიბლიოთეკა






# „კოლხეთი"

ჩვენს დროში, პარტიისა და მთავრობის ზრუნვის შედეგად გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ ფოთის მრეწველობა, ქალაქში, შავი ზღვის პირას, ათობით ჰექტარ ფართობზე განლაგდა რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი საწარმოს ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხნის კორპუსები, აქ არა მარტო სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მექანიზაციისათვის საჭირო მანქანების დეტალები მზადდება, არამედ შორი რეისით მოღლილი, საოკეანო თევზსაჭერი ტრაილერებიც რემონტდება. ქარხანა არემონტებს ნოვოროსიისკის, სევასტოპოლის, ოდესის და საქართველოს თევზსაჭერი სამმართველოს გემებს.

1962 წლიდან ქარხანამ წყალქვეშა ფრთიანი სამგზავრო „კომეტა" დაამზადა, რომელმაც დიდი აღიარება მოიპოვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ტექნიკურად და ესთეტიკურად იხვეწებოდა თბომავლის კონსტრუქცია. სამგზავრო წყალქვეშა ფრთიანმა ხომალდმა „კომეტამ" საზღვაო და სამდინარო გემებს შორის საპატიო ადგილი დაიკავა. თბომავლის კონსტრუქციის შედგენაში ქარხნის კოლექტივთან ერთად სსრ კავშირის ცნობილი გამომგონებლებიც მონაწილეობდნენ, „კომეტა" წყალზე ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებულ სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენს, მასზე საზღვარგარეთიდან მოდის დაკვეთები. იგი შეიძინეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, უნგრეთმა, საბერძნეთმა, იტალიამ, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, პოლონეთმა, თურქეთმა, მსოფლიო გამოფენაზე, თავის დროზე დიდი აღიარება ხვდა სამგზავრო ფოთურ თბომავალ „კომეტებს". ინგლისს, რომელსაც მსოფლიოში გემთმშენებლობის მამამთავრად თვლიან, არასოდეს არ შეუსყიდია სხვა ქვეყნებისაგან სამგზავრო გემები, მათ დიდი თხოვნით დაუკვეთეს „კომეტები" ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელ ქარხანას.

წლითიწლობით იზრდება პროდუქციის გამოშვების ტემპი. დრომ დაამტკიცა ჩვენი „კომეტის" საიმედობა. ექსპორტირებულია სამოცამდე თბომავალი. ქარხნის კოლექტივმა წარმატებით აითვისა „კომეტის" ახალი მასალებით (ალუმინი, უჟანგავი ლითონები, პლასტმასი) დამზადების საქმე, რამაც მოითხოვა ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, სამამულო და საზღვარგარეთული გემთმშენებლობის მიღწევათა დანერგვა. რაც დრო გადის, სულ უფრო სრულყოფილი ხდება ხომალდების ხარისხი. დრო ახალ მოთხოვნებს აყენებს და აი, კიდეც დაიწყო ახალი ტიპის თბომავლის შექმნა.

ახალი ხომალდები დააკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნილებებს. ეს „კომეტა" ათვისებული უნდა ყოფილიყო 1982-1983 წლებში, ფოთელმა გემთმშენებლებმა გადახედეს თავიანთ შესაძლებლობებს და გადაწყვიტეს შეამცირონ ვადები, შექმნან პირველი ნიმუშები, რომელიც მიეძღვნება სკკპ 26-ე ყრილობას. ამ დიდი ინიციატივის განხორციელებაში მათ უდიდეს დახმარებას უწევს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე. პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ფოთელები ახალ-ახალი წარმატებებით უპასუხებენ, როდესაც ფოთს ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე ეწვია, მან ქალაქის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად დაათვალიერა ახალმშენებლობანი. შემდეგ ესტუმრა ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელ ქარხანას. შეხვდა ქარხნის მშრომელებს, ესაუბრა შრომის ვეტერანებს, ახალი თაობის წარმომადგენლებს, ქარხნის ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, წარმატება უსურვა მათ ახალი მიჯნების დასალაშქრავად.

იმ დღეს საფუძველი ჩაეყარა „კოლხეთის" მშენებლობას. ქარხნის № 16 საამქრომ გამართა მიტინგი, სახელდახელოდ დაწერილი ლოზუნგები გამოხატავდნენ მზადყოფნას პარტიის მიზანდასახულობათა განსახორციელებლად, მიტინგი გახსნა პარტიული კომიტეტის მდივანმა ომარ ხუხუნამ. ზეიმის მონაწილეთ

ახალი პროდუქციის წარმოებაში ჩაშვება მოულოცა ქარხნის დირექტორმა ზ. არჩაიძემ. ძნელია იმ მღელვარების გადმოცემა, რაც პირველი „კომეტის“ მშენებლებს დაეუფლათ — არონ ბალნერმა, ნიკოლოზ შალინმა, რაშიდ კინჟალიმ, ანატოლ სიჭინავამ, სვეტლანა კიზირიამ, ვაჟა გელანტიამ, ალექსანდრე დორგობედოვმა. მათ ხომ რამდენიმე წლის წინ შედარებით პატარა საამქროში ააგეს პირველი სამგზავრო „კომეტა“, რომელიც მაშინ პარტიის 22-ე ყრილობას მიეძღვნა.

შრომითი დინასტიების გამგრძელებლები ალექსი შალინი, ჯუნგლი სილოგავა, იური კინჟალი, ვალენტინა კოვალოვა, ნადეჟდა პოსოხოვა, ჯემალ ცომაია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გურამ გორდულაძე, ვასო ბებერია და სხვები, უფროსებთან ერთად წყალქვეშა ფრთებიანი თბომავლის „კოლხეთის“ გამოშვებას უძღვნიან პარტიის 26-ე ყრილობას. ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს და აღუთქვეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ პარტიის მიზანდასახულობათა განსახორციელებლად. რამდენიმე თვე გავიდა იმ საზეიმო წუთებიდან, როცა „კოლხეთის“ პირველი კონტურები, პირველი ჭრილები მოიხაზა... წყალქვეშა ფრთიანი თბომავალი „კოლხეთი“ ბევრად უსწრებს თავის წინამორბედს, გაცილებით ნაკლებხმაურიანია, სალონებში კომფორტია, გაზრდილია თბომავლის საიმედოობა ზღვის ღელვისას. 5-6 ბალიანი ღელვის დროს ახალ „კომეტას“ შეუძლია შეტევის კუთხე შეცვალოს და ტალღა გადაკვეთოს ბასრი მოძრავი წყალქვეშა ფრთებით, ამ დროს მას ექნება ვერტიკალური მდგომარეობა, მოძრავი ფრთები საშუალებას აძლევს ხომალდს თავისუფლად იმოძრაოს ყოველგვარ ამინდში, თბომავალი 140 მგზავრისთვის არის განკუთვნილი და საათში 80-85 კილომეტრს გადის. „კოლხეთი“ ყველაზე მეტად იმ ქვეყანაშია ხელსაქრელი, სადაც ზღვებზე მრავალი კუნძულია და მცხოვრებლებს ჭირდებათ ჩქარი მიმოსვლა. „კოლხეთი“ სწრაფად უხვევს გზებს შემხვედრ კუნძულებს, ასეთ ადგილებში „კომეტას“ ბადალი არ გააჩნია.

ახლახან სასიხარულო ცნობა მიიღო ს. ორჯონიკიძის სახელობის ფოთის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა, ქარხანა საერთაშორისო გემთმშენებლობის კომიტეტის მიერ დაჯილდოებულია „ოქროს მერკურით“. ეს ჯილდო მხოლოდ მსოფლიოს საუკეთესო გემთმშენებელ ქარხნებს ეძლევათ.

ვაჟკაცური შემართებისა და ძიების, შემოქმედების ცეცხლი ანთია ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში, ამის ერთი დადასტურებაა ახალი, გიგანტური, თოლიასავით თეთრი სამგზავრო ხომალდი „კოლხეთი“, რომელიც პირველ მგზავრებს გადაიყვანს ფოთიდან ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში სკკპ 26-ე ყრილობის გახსნის დღეს.

ნუნუ ჩიხრაძე



# მეგობრის ხსოვნას

ნავიდა ჩვენგან თამარ ჩხაიძე, მწერალი და მეგობარი, საუკეთესო ადამიანი და მოქალაქე, ვისი კალამიც ბავშვთა სულიერი აღზრდის კეთილშობილ საქმეში იხარჯებოდა. თამარ ჩხაიძის ფაქიზი, ლირიკული მოთხრობები და ლექსები თავიდანვე დიდი სიყვარულით მიიღეს ჩვენმა ნორჩებმა. საბავშვო ბაღის აღსაზრდელები თუ უმცროსკლასელნი წყაროსავით ენაფებოდნენ მშვენიერ წიგნებს. ეს წიგნებია: „სიმღერა“, „ნაცარას შვილობილი“. „თოჯინების აჯანყება“, „პოემა შუქნარის ტყეზე“, „ნუკრია“, „სახტომელა“, „მეტყევის შვილი“ და სხვ.

თამარ ჩხაიძე 1907 წლის აპრილში დაიბადა, ქალაქ ბათუმში. მას მუდამ ასე სწამდა, შავი ზღვის ტალღამ მაჩუქა მელოდია და რიტმიო. მართლაც, თამარ ჩხაიძის ლექსიც და პროზაული ნაწარმოებიც თანაბრად რიტმიანი და მელოდიურია. ამიტომაც არის, რომ თამარის ბევრ ლექსზე შეიქმნა სიმღერა და რომანსი, რომელთაც ჩვენს ესტრადაზე ყოველთვის სიყვარულით ილებს მსმენელი. თამარ ჩხაიძე — გულწრფელი და ხალისიანი, თამარ ჩხაიძე—ყურადღებიანი და გულისხმიერი, თამარ ჩხაიძე — გულჩვილი და ომახიანი. ასეთი ახსოვთ იგი მეგობრებს, კოლეგებს. ახსოვთ მისი ხმა, მის მიერ შინაურ წრეში შესრულებული რომანსები და სიმღერები. თამარ ჩხაიძე თავისი შემოქმედებითი გზის დასაწყისში მღეროდა კიდეც თურმე ესტრადაზე; თამარ გურულის ფსევდონიმით გამოვდიოდიო, ბევრჯერ უთქვამს მეგობრებისთვის. სიმღერა და პოეზია ამშვენებდა მის ოჯახს, მის გარემოს, მის ხალისიან ბუნებას.

თამარ ჩხაიძის წასვლა მეტად გულსატკენია ქალთა ჟურნალისთვისაც. ყოველთვის მოდიოდა, ხმას გვაწევდა, ლექსს ან მოთხრობას გვაწვდიდა, ქალთა ჟურნალის რედაქციას თავის მეორე ოჯახად თვლიდა. სწორედ „საქართველოს ქალში“ დაიბეჭდა მისი მოთხრობა „დედის ხელი“. რომელიც შემდეგ სატელევიზიო ფილმად შეიქმნა და დიდი პოპულარობა მოუპოვა ავტორს. და სწორედ „საქართველოს ქალში“ დაიბეჭდა მისი ბოლო ლექსიც, „თეთრი ზამბახი“, (1980 წ. № 9) მეგობრისა და მთარგმნელის — ნუცა ანანიაშვილის ხსოვნას რომ მიუძღვნა. მისი წასვლით ქართველ მწერალ ქალებს ერთი გულისხმიერი მეგობარი დაგვაკლდა, ჩვენი ჟურნალის მკითხველებს კი საუკეთესო ავტორი. დე, ნათელი იყოს მისი ხსოვნა ჩვენს გულებში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა ღვინეფაძე

## ხმა პოეტისა საქართველოდან

ჩვენი ბავშვების არსენალში
ყველანაირი იარაღია,
ყველანაირი ალჭურვილობა,
გარდა ერთისა —
ჯაჭვის პერანგი
მუზეუმებში ჰკიდია მხოლოდ!
როგორ ვინატრო, —
კაცობრიობა
არ გასცდეს მეთქი უმანკო ასაკს,
როდესაც ომი ომობანაა!
არ გასცდეს, რათა არ გაბოროტდეს!
მე ვამბობ — ომი პლანეტაზე
უნდა დარჩეს
ოდენ თამაშად,
ბერიკაობად!
თორემ ქალს შესწევს
ძალა წყევლისა!
გადაულოცეთ მუზეუმებს
ომის იდეა,
ვით ქვაყუმბარა წარსულ დროთა,
ანდა ხელკეტი!
დღეს ყველა ქალი აღუდგება
ომის ქარტეხილს,
როგორც კედელი!..
კი, თქვენ ჯენტლმენი
ბრძანდებით, ფრიად!
მარჯვედაც ისვრით?!
ჰოდა, ესროლეთ
ქალებს, ლამაზებს,
„ქარაფშუტებს" —
ქალებს შაოსნებს,
რომელთაც სურთ, რომ
ომი იქცეს ომობანად,
სანახაობად,
ყეენობად!
ესროლეთ ქალებს,
ომის თამადავ!
მათ გადაუცვამთ ჯაჭვის პერანგი,
თვით დედათქვენსაც ვერ გამოარჩევთ...
ესროლეთ ქალებს,
გადაქცეულთ ციხე-გალავნად,
ოღონდაც ბავშვებს არ მიწვდეთ ტყვია,
ბავშვებს, — თეთრ კრავებს,
ოქროსფერებს,
შავტუხა კრავებს
(ძუძუს მოვიჰრით
იმათთვის ფარად).
ესროლეთ ქალებს!..
ნაზ ასულებს და ამორძალებს,
ესროლეთ მარჯვედ,
თქვენ ხომ კარგი
ქამანდარი ხართ!

## უცნობს

თითქოს მიხვდა რომ
მესიზმრია ვარ...

მე გიქადაგეთ დიდი სიკეთე,
როცა გამანდეთ თქვენი სიზმარი,
ამოვიცანი თქვენს შეკითხვაში
შიში ძალუმი, შიში ცისმარი...

ჩემთან შეხვედრამ დაგანუგეშათ,
თითქოს გეპკურათ შუბლზე ცისნამი;
...როგორ აგიხდათ
ჩემი სიტყვები,
როგორ აგიხდათ ცუდი სიზმარი?!

## ექსპრომტი ახალ მთვარეს

...ახ, მთვარევ, მთვარევ...
მიჯნურის მსგავსად
აღარ შეგმატებ,
— ფიქრსა და ალმურს; —
რატომ გიცქერი,
რატომ ,მოგტირი,
როგორც დაკარგულ,
შორეულ მამულს...

## სილვა გიორგობისთვეში

მე შეგამჩნიეთ მყუდრო ბაღნარში,
რო! ერთობოდით ჩქერის შხეფებით,
ალბათ ვერასდროს ველარ გიხილავთ,
ალბათ ვერასდროს ველარ შეგხვდებით.

უწინ მესიზმრეთ და შეგიცანით,
თუმც ამ ქალაქში მოვხვდი შემთხვევით;
ნუთუ, ვერასდროს ველარ გიხილავთ,
ნუთუ, ვერასდროს ველარ შეგხვდებით...

ვზივარ ფოთლებით მოფენილ მერხზე
და ვცდილობ, მზერით შემოგაბრუნოთ!
მაგრამ, ვაითუ, ყვითელი კონა
გამიფანტოთ და შემომამგუნოთ...

ჯობს წავალ, ვიდრე დგახართ ქანდაკად,
ვიდრე ერთობით ჩქერის შხეფებით;
ველარასოდეს ველარ მიხილავთ,
ველარასოდეს ველარ შემხვდებით...

## ყვავილნარში

ნიხზე დამჯდარ,
ლურჯკაბიან,
თვალებლია ის
ვერაფერი გაუგია:
ვერხვი,
ყოველ გამკრავ ნიავს
თან აყოლებს შიშით შრიალს.
აბრეშუმის აკაციას
სამკაული არ ასხია.
თეთრ წამწამებს
ფრთხილად ახწევს ენძელა,
ბაღნარს თავზე დასტრიალებს პეპელა.
წითელ მაქმანს
წვეთებს აცლის მანანა,
გარიყრაჟზე
წვიმამ ოდნავ დანამა.
ჭრელ ფარდაგზე
ყვავილნარი უცდის მგოსანს.
ფერი მისდის სოსან-შროშანს.
დილის სხივი,
შუქის კონებს
ვარდის კოკორს დააკონებს.
ცვრიან ფურცელს
გაშლის უცებ.
დღემ დაჰკარგა
ქარვის მძივი,
გაჰქრა სხივი,
და დასტოვა ბაღნარი.
შავ ჩრდილებში ჩამჯდარი.
ძოწმოსილი ვარდის ახლოს
ისმის სტვენა,
სურნელს აფრქვევს სუმბული,
ვარდს უმღერის ბულბული.
ბაღის ბოლოს,
ქვის მესერზე,
გარინდული სურო მარტო
თავის ბედზე
ობლად დარდობს.

რუსუდან მეგრელიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 50 წლისაა



# იუბილარი

დიდია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ღვაწლი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღორძინებასა და განვითარებაში, მისი მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაში. ინსტიტუტი 1930 წელს შეიქმნა უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე, რომლის დროშას ამშვენებს შრომის წითელი დროშის ორდენი, ხოლო საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის წიაღში კი ჩაისახა და შემდეგ დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტები.

50 წელია, რაც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი არსებობს. ამ ხნის მანძილზე აქ ბევრი რამ გაკეთდა. საკმარისია ითქვას, რომ ინსტიტუტმა დღემდე გამოუშვა სოფლის მეურნეობის 36113 სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი და ბევრი სიახლე შეიტანა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებაში.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი დღეს მუშაობენ პარტიულ, საბჭოთა, საწარმოო და მეცნიერულ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, უშუალოდ მეურნეობებში.

ინსტიტუტში დღეისათვის ფუნქციონირებს 9 ფაკულტეტი და 52 კათედრა 19 სპეციალობითა და სპეციალიზაციით.

ინსტიტუტში პედაგოგიურ და სამეცნიერო კვლევითს მუშაობას ეწევიან აკადემიკოსი და ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის საკავშირო აკადემიისა და საქართველოს სსრ აკადემიის ხუთი წევრ-კორესპონდენტი. 58 პროფესორი, 127 დოცენტი. 86 უფროსი მასწავლებელი და 75 ასისტენტი. აქედან 63 მეცნიერებათა დოქტორი, ხოლო 207 მეცნიერებათა კანდიდატია. მათ შორის 4 დოქტორი და 44 კანდიდატი ქალია, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ როგორც სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაში. ისე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში. მოგითხრობთ მოკლეთ ზოგიერთ მათგანზე.

**მარიამ ალექსის ასული სიხარულიძე**
— სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1929 წლიდან მუშაობს გამოყენებითი და მეცნიერული სელექციის დარგში. შექმნილი აქვს დიდძალი სასელექციო მასალა ხორბლის ინტენსიური ტიპის ახალი ჯიშების გამოსაყვანად, ავტორი და თანაავტორია ლობიოს დარაიონებული და ხორბლის პერსპექტული ჯიშისა. გამოქვეყნებული აქვს 50 სამეცნიერო შრომა და პირველი სახელმძღვანელოები მინდვრის კულტურათა სელექცია-მეთესლეობაში. 1938 წლიდან ემსახურება სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა აღზრდის საქმეს. სისტემატურად ხელმძღვანელობს ასპირანტებს და მაძიებლებს.



მარიამ სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენტინა ლატარია



ქსენია კიზირია



**ვალენტინა ნიკოლოზის ასული ლატარია** სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ორმოციოდე წლის წინათ ლაბორანტი იყო. დღეს კი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია. იგი ერთი პირველთაგანი არკვევს ჩვენში კოლოიდებთან დაკავშირებით ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკურ მაჩვენებლებს, რომლითაც შუქი შეაქვს ყომრალი ნიადაგების გენეზისის საკითხში და საწარმოო თვისებების გაუმჯობესებაში.

ექსპერიმენტული გამოკვლევების მდიდარი მასალა მოიპოვა ვალენტინა ლატარიამ ნათესი ბალახების ნიადაგის ფიზიკური, ქიმიური თვისებების და ნაყოფიერების ამაღლების და მოსავლიანობის ზრდის საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით, რაც საფუძვლად დაედო მის სადოქტორო დისერტაციას. იგი 60-ზე მეტი გამოქვეყნებული შრომის ავტორია. მას ნახავთ ლაბორატორიაში, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკაზე, ლექციებზე, საზოგადოებრივ, პარტიულ დავალებათა უბნებზე, ფართეა მისი საქმიანობის სპექტრი.

**ქეთევან პეტრეს ასულმა კიზირიამ** 1934 წელს დაიწყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ლაბორანტად მუშაობა. დღეს იგი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია. მის მიერ შესწავლილია საქართველოში გავრცელებული სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტების, ჩაის ფოთლის, სიმინდის მარცვლის და ხილ-ბოსტნეულის ქიმიურ-ტექნოლოგიური მაჩვენებლები, რის საფუძველზეც გაცემულია რეკომენდაცია შენახვის ოპტიმალური პირობების და ვადების შესახებ.

ქეთევან კიზირია სიყვარულით ემსახურება სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ავტორი გახლავთ 20-ზე მეტი შრომისა, შედგენილი აქვს 2 სახელმძღვანელო.

**თამარ ვიქტორის ასული რობაქიძე** — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია. სამ ათეულ წელზე მეტია, საქართველოში გავრცელებული ადგილობრივი ბოსტნეული კულტურების ჯიშების და ჯიშური ფორმების შეს-

თამარ რობაქიძე



დ. იაკობაშვილის ფოტო.


ალექსანდრა ბაღდავაძე

ნინო სანაძე




მარიამ შაბლოვსკაია

წავლა-გამოვლინებაზე მუშაობს. ავტორია ხახვის დარაიონებული ჯიშისა. მან პირველმა შეისწავლა და დაამუშავა სურნელოვან სანელებელი ბოსტნეული კულტურების სელექციის მეთოდები. გამოქვეყნებული აქვს 40 შრომა.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრა ბაღდავაძე** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ჯერ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში, მერე კი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში. მან მთელი თავისი საქმიანობა კადრების აღზრდას და ენტომოლოგიაში საკითხების კვლევას მოანდომა.

ჩვენი ქვეყნის მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს მეცნიერ მუშაკებმა **ნინო სანაძემ** და **მარიამ შაბლოვსკაიამ.**

**ნინო სანაძემ** წარმოებას გადასცა თუთის აბრეშუმხვევიას მრავალი მაღალპროდუქტული ჯიში და ჰიბრიდი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მზიური-1 და მზიური-2, რომლის წმინდა თანაბარ ძაფს წარმატებით იყენებენ თვალის ქირურგიაში.

50 წელზე მეტია **მარიამ შაბლოვსკაია** მუშაობს თუთის ხის სელექციაზე, მის მიერ მრავალი უხვმოსავლიანი ფოთლის მომცემი ჯიშები გადაეცა წარმოებას. ბოლო წლების მანძილზე, მარიამ შაბლოვსკაიამ სხვა თანამშრომლებთან ერთად, წარმოებას გადასცა თუთის ხის დაავადების. „წვრილფოთოლა სიხუჭუჭის" მიმართ შედარებით გამძლე ჯიშები—იმერული-1. იმერული-2, „რიონი" და სხვა.



ოსტროვსკი — „ლამაზი მამაკაცი". ზოია.

# სცენა საპატიო ტრიბუნაა

სრულიად ახალგაზრდა მოევლინა იგი ქართულ კინემატოგრაფიას. მოევლინა როგორც გაზაფხული, მშვენიერი და თვალმშუქარე. თბილისელებს მანამდეც შენიშნული ჰყავდათ იგი: თმაგაშლილი, თვალებმუქური ქალიშვილი, თვალთა უპე-ნიც იმ შუქით ჰქონდა თითქოს ამოვსებული. ხედავდნენ რუსთველის გამზირზე მიმავალს, ოპერის ბაღთან შეჩერებულს, თავის ბინასთან, თეატრალური შესახვევის ვიწრო კუთხეში... მაგრამ ფილმმა „დავით გურამიშვილმა" ყველასათვის საცნაურჰყო მისი სახელი და გვარი: დოდო ჭიჭინაძე. ახალგაზრდა კინოდებიუტანტს ამ ფილმმა დიდი პოპულარობა მოუპოვა. მისი ქეთევანი, ქდემამოსილი ქართველი ასული. სამშობლოსათვის თავდადებული. — მაშინვე შეიყვარა მაყურებელმა. მაყურებელს ისიც ხიბლავდა, რომ ახალბედა მსახიობმა, სცენის ტიტანების გვერდით, ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა დიდ მასწავლებელს — ხელოვნებას. ახლა მას უფლება ჰქონდა თავისი ნიჭიერება ქართული ხელოვნებისათვის შეეწირა, დაეწყვილებინა, თავდადებულთა გვერდით ეთქვა თავისი სათქმელი.

მას შემდეგ დოდო ჭიჭინაძის შემოქმედებითს გზაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა და ენაცვლება სცენური და კინოსახეები: თეატრი და ფილმი. ფილმი და თეატრი: მზევინარი, ხათუნა, ჯარისკაცის ქვრივი, მედეა, ივდითი, შირინი, ლედი, ანა...

ივდითი — მისი პირველი გმირი, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. დოდო ჭიჭინაძე ღვალისჩინივით ინახავს იმ პირველ აფიშას, 1949—50 წლების სეზონში, მარჯანიშვილის გარდაცვალების მე-18 წლისთავის აღსანიშნავად, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, მარჯანიშვილისეულ დადგმის (კ.გუცკოვი. „ურიელ აკოსტა") მაუწყებელს. აფიშა აუწყებს მაყურებელს: „ივდითის როლში სადებიუტო გამოსვლა ახალგაზრდა მსახიობ დოდო ჭიჭინაძისა". თავისთავად ცხადია, რომ ღელავდა დებიუტანტი. თავისთავად ცხადია, ამ მღელვარებას იზიარებდა მომლოდინე მაყურებელი, თეატრის თაყვანისმცემელი. დაუვიწყარია მსახიობისათვის ის როლი, დაუვიწყარია მზევინარისა (ვაჟა ფშაველას „მოკვეთილი") და ხათუნას (რ. ჯაფარიძე: „ჯარისკაცის ქვრივი") თანაბრად და კიდევ სხვათა თანაბრად, რომელთა სახეში ასე ოსტატურად შენივთდა მსახიობი... დოდო ჭიჭინაძე უყვარს მაყურებელს, ქართველ მაყურებელს, საბჭოთა მაყურებელს. ამის დასტურია 1977 წლის ოქტომბერში, მოსკოვის მსახიობის ცენტრალურ სახლში გამართული მისი შემოქმედებითი საღამო. ამ საღამოზე, საქართველოს სახალხო არტისტი დოდო ჭიჭინაძე სიყვარულით მიიღო მოსკოვის თეატრალურმა

საზოგადოებამ, კოლეგებმა და თაყვანისმცემლებმა. ქართველი მსახიობის მშვენიერებამ მოხიბლა ისინი, ამიტომაც ოფიციალურ გამოსვლებშიც და იქვე საღამოს შემდეგაც დაუშურველად და გულწრფელად ლაპარაკობდნენ დოდო ჭიჭინაძის აქტიორულ შესაძლებლობებზე ე. გოგოლევა, ნ. გოლუბოვსკი, ე. კომისარჟევსკი... იწვევდნენ ცენტრალურ პრესის რედაქციებში. ამ მოწვევათაგან, ქალბატონ დოდოს განსაკუთრებით დაახსომდა შეხვედრა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ ორგანო „კრასნაია ზვეზდას“ რედაქციაში. ამავე გაზეთით, 1978 წლის 21 თებერვლის ნომერში მეტად საინტერესოდ გაესაუბრა დოდო ჭიჭინაძე საბჭოთა მეომრებს: „დაე, ფრთა შეგასხათ ჩვენმა სიყვარულმა“! ამ მიმართვაში ჩანს მსახიობის მოქალაქეობრივი პათოსი, მრწამსი, რწმენა დღევანდელობის და ხვალინდელობისა, ჩანს ის დიდი პასუხისმგებლობა, რითაც უდგება მსახიობი თითოეულ სცენურ სახეს. მას სწამს, რომ მსახიობი, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეა, მამულიშვილია, რომ სცენა ის ტრიბუნაა, რომელიც სამშობლომ დაუთმო მსახიობს ამ მოქალაქეობრივი მრწამსის გამოვლენისათვის. ამის დასტურად დოდო ჭიჭინაძე ასახელებს სერგო ზაქარიაძის ჯარისკაცის მამასა და სესილია თაყაიშვილის ოლღა ბებიას. იგონებს, როგორ ატირდა ძლიერი, დიდი და ვაჟკაცური სერგო ზაქარიაძე, როდესაც შორეულ აღმოსავლეთის მესაზღვრეებმა, შეხვედრისას მამა უწოდეს. „ჯარისკაცის მამის“ პირველად ნახვის შემდეგ, გვიამბობს ქ-ნი დოდო, მე წერილი მივწერე სერგო ზაქარიაძეს: იმ წუთებში იგი მამა იყო ჩემი, უსაზღვროდ ძვირფასი მშობლიური ადამიანი. და იმ წერილს მე გავატანე ყველაზე მეტი ალერსიანი, ყველაზე თბილი და ნაზი სიტყვა...“

საბჭოთა მეომრებთან შეხვედრისას დოდომ ასე მიმართა მათ:

...„თქვენ, კაცები, მებრძოლები, ჩვენი დამცველები, განა ოდესმე იქნებოდით ასე ძლიერნი, ასე მამაცნი, თქვენს გვერდით რომ ჩვენი გულები არა ფეთქავდეს, ქალების, დედების, დებისა და სატრფოთა გულები?...

ჩვენ ვიცით, ვისთვისაც ვქმნით მშვენიერებას; საბჭოთა მსახიობს ყველაზე დიდი და კეთილშობილი აუდიტორია ჰყავს დედამიწის ზურგზე; ჩვენ ისიც ვიცით, ვისგან უნდა ვისწავლოთ, სად დავეუფლოთ შთაგონებას: ჩვენი სამშობლოს ყოველი დღე ხომ საბჭოთა ადამიანის შრომისა და საბრძოლო დიდების საუკეთესო მაგალითს გვაძლევს!“.

დოდო ჭიჭინაძეც ხომ თავის აურაცხელ კოლეგებთან ერთად დგას სამშობლოს ამ დიად სამსახურში. მისი შესაძლებლობები იმის საწინდარს იძლევა, რომ კვლავ ბევრჯერ გაახარებს ჩვენს გულებს.

**ნაზი კილასონია**



რ. ჯაფარიძე—„ჯარისკაცის ქვრივი“. ხათუნა.



ვაჟა ფშაველა — „მოკვეთილი“. მზეჩინარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაულაგებლი

მოთხრობა

მხატვარი დ. ერისთავი

..წავიდეს!.. არ მინდიხარო! — არ ვუნდივარ, და, რაც არ უნდა, ღმერთმა ნურც მისცეს. უსწავლელი ხარო! გეგონება თვითონ ორი უმაღლესი ჰქონდეს გათავებული! უსწავლელი... ვისზე რა ნაკლები ვარ! თვითონ რო კოლექტივის სკამზეა დაკრული, რითი მჯობია! ნასწავლი სიძე მოუნდა! ამ ჩემი მაზუთიანი ხელებით არ იყო, იმოდენა სასახლე რომ წამოვჭიმე! გვერდით მოუყენოს თავისი წაბრეცილი ქოხი, ძაან თავი არ გამაიდო! ნასწავლების მარაქაშიაც რომ ერევა! გული მოგიკვდება კაცს, თორე, სხვა, რა! არა მაინც რითი მიწუნებს, რომ მიწუნებს! უფროსი ქალი მეცხვარეს არ გაატანა? ცხოვრობს თავისთვის მყუდროდ. საჭმელი არ აკლია და სასმელი, ჩასაცმელი და დასახური, სახლი და კარი. იმასაც თვალები ამოუღამდა გზაზე ცქერითაო. ეგება აიღოს და ქმარს ყიზლარს გაატანოს. როგორც სოფელი, ისეც ეგა! ჩვენ მამა-პაპათ როგორც უწირიათ, ჩვენც ეგრე უნდა ვწიროთ. მაგას რომ ყური უგდოს კაცმა, ქალის კაბებს უნდა ვიყოთ გადმოგებული და მეცხვარეობას შევეშვათ. ეგრე კი გამოდის, და! თვითონაც ამ მთებს არ არის გამოკერებული? აიღებდა და ადრევე ბარათ ჩარეკავდა თავის ოჯახობას, ეხლა რაღა!

შუათანა იყო და, ფერმის გამგეს არ გაატანა? რომელი სკოლა-უმაღლესები იმასა აქ გათავებული. ცხვარ-მეცხვარის ავ-კარგი იცის, ეგ არი მაგის სწავლა განათლება. ვიზე რა ნაკლები ვაჟკაცი ის არი, ცოლ-შვილში ეგრე გაფუფუნებული, იმოდენა წვრილფეხობაში კაცი გზას ველარ გაიგნებს. ი, ორივე ქალი ბედნიერათა ჰყავს და თვითონ რა ჯადო დეეცა! ამ მესამესაც და დანარჩენ ჯალაბსაც ქალაქ წავასხამო. კინო-თეატრი მოუნდა, გაგიჟდება კაცი! ეგა მცოდნიყო, ან სახლ-კარ რაზე გავმართამდი, ან ამოდენა ზიზილ-პიპილებს რაზე ამოვიტანდი, გავტენე სახლი. რისთვისა? ქეთია გაიხარებს-მეთქი. მცოდნიყო, ერთი, ყიზლარსა ვარ და გული აქეთ გამოსაქცევად მეწელება. აქა ვარ, და, იმათი ჯავრი არ მასვენებს. ვაი, თუ ან ცხვარი დეეშმეთ, ან საჩვილე დროით არ მაამთავრონ, ან, რა ვიცი ათასი საქმეა, რისთვისა? ავდგებოდი და, მეც ბარათ გავწევდი. გოგოების მეტი რა მინახამს, აირჩიე, სულო და გულო. გეგონება, ქეთიას იქით საქალეთი ამოწყდაო.

ძუნწი! უკარებელი! დაშხამულენიანი! კიდევ ბევრი მაქ სათქმელიო, რის სათქმელი! შოფერი ვარ და მწუნობს, ეგა თქვას? ერთიც, ხანდახან ღვინოს ხოლმე ჩავუდგები, სხვა, რა! მე შენ გეტყვი, ურიგო სიმთვრალე არ ვიცოდე. უფროს-უმცროსი მავიწყდებოდეს, დავლევ, წავალ სახლში და დავიძინებ. ავჭინჭყლდები თუ, რა! მაშ, ტოლ-სწორ ხო არ გამოვაკლდები? ამხანაგია, მეგობარია, კაცი კაცითა ცხოვრობს. იიჰ, ისეთს გეტყვის, დაგშხამავს. კაცად ველარ ივარგებ. ამ ნაბოლარამ მაინც იცხოვროს რიგიანათო. ეგრე გამოდის ჩემთან ურიგოთ იცხოვრებდა. არა, რითი მწუნობს, რომ მწუნობს? ელამი, ეშმაკი! გელაპარაკება და თვალები აცა-ბაცა გაურბის. რიგიანათ თვალი ვერ გაგისწორებია. ეგ არი, გული ქეთიაზე შემივარდა, თორე... ეგ გულისას რას გაიგებს, საკუბოვე ფიცარივით არი გაბრტყელებული. გული არც კი ექნება, ერთბაშად ქალაქი არ მამინდომა! მამა უცხონდა, ქალაქელ ჩიტირეკია ჯეელებს აღარა ვჯობდე! წავიდეს, მაგისი... ოჯახქეტიანი!".

წვიმდა. მანქანის ფარების სინათლეზე წვიმის წვეთები იმხისხო ჩანდა, მოეჩვენა, თოვსო და გული შეუქანდა, მოსავალს გაატიალებსო. გზის პირებზე თეთრად გადაპენტილი ხეხილი იდგა. მიხვდა, ქარი ჰაერში ყვავილის ფურცლებს ატრიალებდა, ერთბაშად იგრძნო შვება და გაიღიმა.

„ემანდ, კი, მართლა არ მოთოვოს. ლამის ტყემალი გამოინასკვა, თუთამაც როგორ გამაიწია, რაღა დროს სიცივეების დაჭერა იყო? მთა ცივია, ტიალი. მეორე გზობას რო ჩამოვალ, სამების კლდეზე თოვლი დამდნარი იქნება. როგორ გამალომა კაცი! რა გულმა გამიშვა და ქეთიას უნახავათ წამოვედი? ექვსასი კილომეტრი ისე გამოვლიე აქამდე, სულ ის მედგა თვალწინ, როგორ დავინახავდი ქეთიას. აბა, შუაღამეს რას დავუცდიდი, შებინდდებოდა და, ჩვენი კაკლის ხეს ავეკვროდი. ქეთიამ იცის ასე თქმა, ჩვენი კაკლის ხეო. ქეთია ისე შემომყვებოდა ღამეს, ვერ დავინახავდი. მარტო გული მიგრძნობდა, დანახვით, მართლა ვერ დავინახავდი. ეგრე ხოლმე არ იცოდა? გეგონება, ნიავს ჩამოჰყვაო, უჩუმრათ, ლანდივით აისვეტებოდა კაკლის ძირში, თავისი ჭრელი კაბით, შეშინებული და ბედნიერი თვალებით... ოჰ, მაგისი, კაცი კი არა, ჯადოა! ხელ-ფეხს შეგკრამს, გაგთანგავს, გაგასავათებს, გზიდანა და კვლიდან გადაგაგდებს. რა მითხრა, კაცო! დაულაგებელი ხარო. ერთავად ხიფათში იქნება გაბმული, გოგო გამეტანჯებაო. ხიფათში არა ერთი ადგებოდა და კაცურად მეტყოდა, ქალს არ გამოგატანო, ღობე-ყორეებს მეედო. კოლმეურნეობის კრებაზე რომ გამაშავეს, მაგასა ჰგონია, ძაან მართლები იყვნენ. ვხედამ, წვიმასა და ქარაშოტს ფარა ცხვარი მოუსხლეტია, ზედ ხრამისპირს მიკრულები დგანან და ძაგძაგი გაუდით. რა გულს უნდა მეეთმინა? ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ოთხმოცი სული ცხვარი. ვისიც გინდა ყოფილიყო, უპატრონოთ დამეყარა? ავდექი და სათითაოთ მანქანაზე შევსხი. ერთი ვნახოთ სად მეყენა მანქანა. ერთ გზობა გადავწყვიტე კიდეც, ვერ გავაღწევ-მეთქი. ხო გავაღწიე. სანამ პატრონ ვიპოვიდი და ნაპოვნ ცხვარ ჩავაბარებდი, დღენახევარი გამიცდა. ის ჩაროდინელი მეცხვარე ძმათ მამეკიდა. გაგიჟდა კაცი, ოთხმოცი სული ცხვარი უკლებლივ რომ მივულალე. ესენი კიდევ, მანქანა გააცდინეო, საკვები დაგვიგვიანეო და რა ვიცი, ერთიც ვნახოთ. ეხუვლა და ის ოთხმოცი სული ხრამში გადაჩეხილიყო, მერე? უპატრონოდ როგორ დამეყარა ცხვარი, კაკოო, ჩვენი იყო, თუ სხვისი, ცხვარი ხო იყო! შენ შენი საქმე გქონდა და ის უნდა გაგეკეთებინაო. უგულოები, ესენი! ის ელამი ეშმაკი არ იყო, კრებაზე რომ მოითხოვა, უდისციპლინობისათვის დავსაჯოთო. მე ისე ვატყობ, მართლა არ ექნება გული. ვერ მიართვეს, არც დამსაჯეს და არც არაფერი! გულზე არ გასკდებოდა! დაულაგებელიო! თვითონ რა ძაან დალაგებულია, შუაგულ სიბერეში აკუნტრუშდა. ქალაქ განავარდება არ მამინდომა!"

შუაღამეს გადაცილებული იყო. გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, მაგრამ სველ, ტალახიან გზაზე მანქანა მაინც ფრთხილად მიჰყავდა. ბორბლებქვეშ წებოსავით იწელებოდა ტალახი. გუბეებში რომ გაივლიდა, წყალი ისე გაიშხუილებდა ხოლმე, ავი სულის ქშენასა ჰგავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



და. რაღაცნაირად ესიამოვნებოდა წვიმა და სიცივე. ამშვიდებდა. დაბლა რომ ჩავიდა, მინდორში, სვლას უკლო და სოფელს გახედა. იცოდა, კუნაპეტივით ღამე იყო. ვერაფერს დაინახავდა. მაგრამ მინა ჩახწია და მაინც გაყო თავი. სახე ისე ერთბაშად ჩამოუსველდა, გაუკვირდა. მანქანა სულაც გააჩერა. სახის გამშრალება მოუნდა და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო. სახე რომ შეიწმინდა, ცერად გახედა მინდორს. ბებერი, ტოტებგაფარჩხული, ვეება კაკლის ხის ტოტებს ქარი გამწარებით ეხეთქებოდა. იდგა და მანქანის ფარების შუქზე იმ კაკლის ხეს გასცქეროდა. გულში იმოდენა სევდა და ტკივილი ედგა, ლამის თვალები ასწყლიანებოდა. თავს არ უტყდებოდა, ასე დაბოღმილი თუ იყო, ვითომ გულგრილად უნდა მოეშორებინა კაკლის ხისათვის თვალი და უცებ, ერთბაშად გაშეშდა კაცი! იმ კუნაპეტი სიბნელიდან უჩუმრად, ლანდივით გამოვიდა გოგო და ბედნიერი და შეშინებული თვალებით გამოხედა. გეგონება, წვიმა არ უსველებდა ოქროსფერ ნაწნავებს, გეგონება ჭრელი კაბის გულისპირში პაწაწინა ნაკადულებად არ ეღვრებოდა და სიცივედ არ აკვდებოდა თხელ სხეულს. ჭრელი კაბის ამარა, მხრებზე დედის მოქსოვილ შალმოგდებული წამოვიდა და ბიჭის მხარეს, კაბინასთან დადგა.

გაშეშდა კაცი.

— გიგა... — დაილაპარაკა გოგომ და უცებ აევსო ცრემლებით თვალები. ეგრე უმძრახად მიდიოდი... მამაჩემს რა ყურს უგდებ... სულაც წამოვედი სახლიდან.

ბუმბულივით აიტაცა გოგო. ერთი წამით, სულ ერთი წამით მიიკრა მკერდზე და რაღაც უთხრა. თვითონაც ვერ გაარჩია, რა, მაგრამ რაღაც კი უთხრა. ხმა უთრთოდა. უთრთოდა კი არა, ენას ვეღარ ამოძრავებდა, ყელი გაუშრა. ლამის იყო, დაბორგანავებულიყო. მოეჩვენა, დავმთვრალვარო და ციმციმ დაუშვა გოგო სკამზე. ზურგგამოგლეჯილი, პეწვგამოდებული, უსახელოებო ჯუბაჩა მოახვია მხრებზე, არ შესცივდესო. სველ თმაზე დაადო ხელი და თვალები დახუჭა.

— თან წამიყვანე... — ჩურჩულით ეუბნებოდა გოგო და თან შეუმჩნევლად განზე იწევდა. — ყიზლარში... უშენოდ აღარ დავდგები...

ასე იჯდა, თვალდახუჭული, ხელი გოგოს თმაზე ედო. თვითონაც იმ თმის სურნელით იყო გაბრუებული. მკერდში ვეღარ ეტეოდა გული.

— წამიყვან?

თვალი გაახილა და გოგოს შეხედა. როგორ, როგორ უყვარდა!

* * *

რა დააძინებდა! ისე ჰქონდა გული აბორგებული, ბუმბულის ქვეშაგებიც რომ დაეგოთ, მაინც ვერ მიეკარებოდა რული. თავის დღეში არა ყოფილა ასეთი ბედნიერი. ბედნიერი კი არა, მხრებგაშლილი, ლაღი და თავისუფალი. მხარზე გოგოს თავი ჰქონდა მიყრდნობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცდილობდა, არ განძრეულიყო, რომ არ გაეღვიძებინა. არა და, ლამის გაფრენილიყო კაცი, ლამის პირი დაეღო და ისეთი ხმით შემოეძახა, ცხრა მთა გადაღმა დარჩენილ გოგოს მამასაც კი გაეგონა ძილში.

პირქუში ბიდარა ღამის წყვდიადში უფრო პირგამეხებული და წარბშეკრული ჩანდა. „გადმიშვი, ბიდარაო, შენი არა მინდა რაო"... ჩუმად წაიღიღინა. სულ ჩუმად, ტუჩებს არც კი ამოძრავებდა. რა ბედნიერი იყო!

თენდებოდა.

„წავიდეს ეხლა და მიყაროს კაკალი. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. გაჯიქდა. არა ქნა. წესზე და რიგზე გაგვერიგებინა საქმე! სიძეთ მიწუნებდა. თუ არ შემეხვეწება, არც ვისიმამრებ. სანამ კალთებს არ დამაგლეჯს, ზედაც არ მივხედამ. გამამწარა კაცი. არ მინდიხარო! მერე, სად მითხრა, კაცოო! ძმაბიჭებში. სუფრაზე. უჯიშო! ენადაშხამული!

მეც გავაბი, რა ჭიჭიკოს არლანივით. რაც არ უნდა იყოს, ქეთიას მამაა. ჩემი ქეთიასი. შევრიგდებით, მაშ, რა იქნება. რა ამბავს ატეხენ ბიჭები, ცოლით რო ჩავალ ყიზლარში. მე შენ გეტყვი, და, ახალი ბინები არ დავდგით! ისევ სივიწროვე გვტანჯავს, ერთ ოთახს საკუთრივ დამითმობენ და ის იქნება. ქორწილიც აქ უნდა გადავიხადო. ეხლა აქა და მაისში, სოფელ რო გავბრუნდებით, ერთიც — იქა. ქეთიას თავისი ძროხების დარდი აქვს, ვინ მოწველისო, ვაი თუ წველადობაში ჩამოვრჩეო. მოწველის ვინმე. არც ჩამორჩება და არც არაფერი. რა ბევრიღა დარჩა? თვე, თვენახევარი, ჩათავდება პარსვა და გავბრუნდებით. ხელის გულზე უნდა ვატარო ქეთია. რა ქნა. კაცოო! ამ ერთი ციდა. უთქმელმა და მორიდებულმა გოგომ სახლიდან წამოსვლა არ გადაწყვიტა! უჩემოთ გადაწყვიტა, მარტომ. როგორ გაუჭირდებოდა და მაინც წამოვიდა. სულ ხელის გულზე უნდა ვატარო. ნიავიც არ უნდა მივაკარო. სულ თვალსა და წარბში უნდა ვუცქირო. მეჯვარედ ჩემი ჩარდონელი ძმადნაფიცი მეყოლება. ისეთი ქორწილი გადავიხადო..."

სანამ ქალაქიდან გავიდოდა და ტრამალის გზას დაადგებოდა, მაღაზიაში გადავიდა და ქეთიასთვის რამეები იყიდა. კი არ უფიქრია, კი არ უკითხავს რა ვუყიდოო... არ გავაღვიძოო და ეგრევე. რასაცა ხედავდა და მოსწონდა, ყიდულობდა. იყიდა თბილი ხალათი. ჭრელი. წითელყაყაჩოებიანი კაბა, ფოჩებიანი თავშალი, თხელი. ქალაქური წინდები. ქვაბი, ჩაიდანი. მაღაზიიდან რომ გამოვიდა. შეკრულებში აღარა ჩანდა. უხაროდა. ოჯახში დაგვჭირდებაო და გულში რამდენჯერმე გაიმეორა ეს სიტყვა: ოჯახშიო...

გოგოსაც ყველაფერი მოსწონდა. ის თავშალი აიღო და თავზე მოიხვია. მანქანის სარკე თავისკენ რომ მოატრიალა და ჩაიხედა. მოეწონა და აღარც მოუხსნია. იმ ფოჩებიანი თავშლით იჯდა და კაბინიდან გაჰყურებდა, როგორ გამოჰქონდა და გამოჰქონდა ბიჭს ნავაჭრი შეკრულები.

ის იყო, მანქანა უნდა გაექროლებინა, რომ რაღაც გაახსენდა. იჯდა და გაყუჩებული ფიქრობდა რაღაცას. მერე ისევ მაღაზიისაკენ გაიქცა. გოგო ისევ ისე თავშალმოხვეული იჯდა და ელოდა. მერე გადაუქანდა გული, მაღაზიის მოღებული კარიდან ბიჭის გაცეცხლებული სახე რომ დაინახა. ხელში ატატებული უშველებელი მუყაოს ყუთი ეჭირა. წამოიღო ის ყუთი, თითის წვერებზე აიწია და მანქანის ძარაში ისროლა. მაღაზიის გამყიდველი რაღაცას ეუბნებოდა. ის კი, ვითომც აქ არაფერიაო, ხმასაც არა სცემდა. მანქანა რომ დაქოქა. კაბინიდან გადასძახა:

— გამეცალე. ერთი. რამდენსაც მინდა, იმდენს წავიღებ. ერთ მშვენიერ დღეს სულაც მოვალ და მთელ მაღაზიას გავზიდამ. სულ გამოგიცარიელებ. ცმუკავ. აქა!

აღარც გაცეცხლებული სახე ჰქონდა და არაფერი! ეგრე იცოდა. აპილპილდებოდა და ხელადვე გაუვლიდა ხოლმე. ის კი არა, გამყიდველსაც ისე ელაპარაკებოდა, გეგონება ეფერებაო.

მინდვრები რომ დაიწყო, მერეც კარგა ხანს ედგა თვალწინ მაღაზიის გამყიდველის გაოცებული და უშნოდ ჩამოგრძელებული სახე და იმ სახეს უცინოდა გულში.

— რა ეჭვიანი ვინმე იყო. კაცოოო. — ველარ მოითმინა და გოგოს უთხრა. — თავზარი არ დეეცა. მთელი ყუთი რო გამოვიტანე! რაში ეკითხება? იდგეს თავისთვის და ივაჭროს. რათაო. სადაო. რამდენიო, გამოძიება არ დამიწყო! ვინ ეკითხება! ელდა არ [illegible] იქნება მილიციელი დამადევნოს!

— რა იყიდე?

— პაპიროსი.

— როდის ეწეოდი...

— არც როდის! მწყემსებს უნდა ჩავუტანო. რომ მოვდიოდი, ფარდული დაგვეწვა. სანამ ახალს გახსნიან, ორ-სამ კილომეტრზე უნდა იარონ პაპიროსის საყიდლად. უშაქრობასაც მოითმენენ, უმაკარონობასაც, უპაპიროსობას მოითმენენ? — ვერ მოითმენენ. ჩავიტან და იმათ მადლს მოვისხამ. დღე და ღამეს მინდორში ატარებენ. პაპიროსიც აღარ გააბოლონ? დაღამება უნდა დღესა. ერთმანეთის ნამწვავებს დასდევდნენ.

ქარივით მიაქროლებდა მანქანას. მკერდში ვერ ეტეოდა გული. გოგო გვერდით ეჯდა. ყველაფერი უკვირდა. ესეც უხსნიდა, უცინოდა და უთქმელად ეფერებოდა. რა ბედნიერი იყო! ერთი სული ჰქონდა, სანამ კილომეტრებს გალევდა და თავიანთ ბინებამდე ჩააღწევდა.

„რა ამბავი ატყდება! ხუმრობა საქმეა. ცოლი მიმყავს თან. ცოლი! პატარა ლამაზი ქეთია. მოტაცებული და არც მოტაცებული. ის ოთახი. საცხოვრებლად რომ დაგვითმობენ სულ ხალიჩებით უნდა მოვრთო. ჩემი დაღესტნელი ძმაკაცი ქორწილში ვერცხლის ბეჭედს ჩამოუტანს ქეთიას. ჯარი რომ დამეცეს თავზე, ცხვრის გადარეკამდე აღარ გავუშვებ ქეთიას სოფელში. მერე ერთად ჩავალთ. მე შენ გეტყვი, სოფელში ჩასასვლელი პირი არ გვექნება! წლეულს რომ ნამატი გვქონდა.... დაულაგებელი ხარო! დაულაგებელი არაა, ერთი! რაც მე ჯაფა მადვას! საკვებიო, მასალებიო, ესაო, ისაო. როდის იყო ცხვარი დამიმშევია. უჩემოთ რა კეთდება. თავმჯდომარე სახელის მაგივრად „ნაღდიას" მეძახის. ის კიდევ დაულაგებელიო! რა ხმაზე აჭიკჭიკდებოდა დილაუთენია. ქეთიას ამბავს რომ ეტყოდნენ. ნეტავი ეხლა დამანახვა და რა გინდა! იმისი დამდუღრული სახე დამანახვა და რა გინდა! ყიზლარ თუ არ ჩამამექრა. რა მამათმენინებს მთელი თვე. მეტიც. თვენახევარი, სოფელში რომ ჩავალთ, რას მეტყვის? უბრად დამხვდება. მიყუროს ერთი, დედოფალივით ვაცხოვრებ ქეთიას. რა ადგილზე დავდგი სახლი! სოფლის თავში, ზედ წყაროსთან. ჩემი ეზოდან ხელისგულივით იშლება მთელი ხეობა. უბრად დამხვდება, ნაღდად ვიცი. ბიჭი რო გაჩნდება, მაშინაც არ მოვა?! ბიჭს არსენა უნდა დავარქვა, მეორეს — გელა. ექვსი ბიჭი უნდა მყავდეს, ექვსიც გოგო. მთელი დუჟინი! დამაცადე, შე დაშხამულენიანო, ისეთი სიძეობა გაგიწიო. წინეები სულ გადაგავიწყდეს. ჩემი მზე უნდა გაფიცო. მერეც მეძახე დულაგებელი".

* * *

იქვე იჯდა, მანქანის ძარაზე, მუყაოს ვეება ყუთთან და სიგარეტს ყიდდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ მწყემსები. მალამოსავით ედებოდა გულზე იმათი მადლობა და ლოცვა.

— აგაშენა ღმერთმა... ეუბნებოდნენ და მარაგად ხუთი, ათი კოლოფი სიგარეტი მიჰქონდათ. ნახევარიც არა ჰქონდა გაყიდული, მილიციის მანქანა რომ დაინახა. ყურადღება არ მიუქცევია. არც კი უფიქრია, გულშიაც არ გაუვლია მე ხომ არ მეძებენო. მანქანის ძარაზე ხეირიანად ჩამოსკუპებული ისევ სიგარეტის კოლოფებს არიგებდა. მერეც კარგა ხანს იდგა დაბნეული, გაოცებული და მხრებაწეული. როცა ეკითხებოდნენ, ანგარიშობდნენ, რაღაცას იწერდნენ. მერე გამოფხიზლდა. ახმახმა ლექსიამ მილიციის მუშაკს რომ უთხრა:

— აბა, რა არი გამოსარკვევი! როდის იყო, სიკეთე ისჯებოდა. შვილოსან!

გამოფხიზლდა და გაიცინა. ხმამაღლა გაიცინა, გულიანად. გეგონება დაგუბებული წყალი ერთბაშად მიუშვეს ღარშიო. იმ მილიციის მუშაკს გაეცალა და თანასოფლელი მწყემსების გვერდით მორცხვად ატუზულ ქეთიას სიცილისაგან დაბჟირებულმა ჩაულაპარაკა:

— დაულაგებელიო, ჰა! ეხლა დაანახვა მამაშენს ჩემი თავი...

ელისო ზარიძე

# 1917—1980

„დიდმა ოქტომბერმა გახსნა გზა საბჭოთა კავშირში ქალთა იურიდიული და ფაქტიური უთანასწორობის, ქალის დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის მთლიანი ლიკვიდაციისათვის, რასაც მოჰყვა ქალის სოციალურ როლზე, მის შესაძლებლობებზე, ძველი წარმოდგენების ძირეული მსხვრევა, მოჰყვა მსხვრევა სამარცხვინო, — როგორც უწოდებდა ვ. ი. ლენინი, — ცრუ შეხედულებებისა ოჯახსა და საზოგადოებაში ქალის ადგილის შესახებ.

ლ. ი. ბრეჟნევი.

## დიდი ოქტომბრის დღეთა ქრონიკიდან

1917 წელი, ოქტომბერი. მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ მიიღო დეკრეტი რვასაათიანი სამუშაო დღის დაწესების შესახებ. დეკრეტი განამტკიცებს ქალთა ეკონომიკურ თანასწორუფლებიანობას, ზღუდავს ქალთა ზეგანაკვეთურ მუშაობას და კრძალავს ქალთა შრომას ღამის საათებში.

1917 წელი, დეკემბერი. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბებული დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილება იწყებს ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების, საბავშვო ბაგების, დედათა და ბავშვთა სახლების დაარსებას.

1917 წელი, დეკემბერი. ვ. ი. ლენინი ხელს აწერს სამოქალაქო ქორწინებისა და განქორწინების დეკრეტებს. ამ დეკრეტებით ისპობა ქორწინებისა და საოჯახო კანონმდებლობაში არსებული ქალთა უთანასწორობა და ქალს ენიჭება მამაკაცის თანაბარი უფლება ბავშვზე.

1918 წელი, იანვარი. სრულიადრუსეთის საბჭოების III ყრილობა ამტკიცებს „მშრომელ და ექსპლოატირებულ ხალხთა უფლებების დეკლარაციას“, რომელთაც ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი პოლიტიკური უფლებები ენიჭებათ.

## ჩვენი დღეების ქრონიკებიდან

1971 წელი. შრომის ძირითადი კანონმდებლობა ითვალისწინებს ქალთა შრომისა და დასვენების პირობების მკვეთრ გაუმჯობესებას.

1973 წელი. დამკვიდრდა ფეხმძიმეობისა და მშობიარობის პერიოდში ქალთა დახმარების ანაზღაურების ახალი სისტემა: შრომითი სტაჟის მიუხედავად ხელფასი 100 პროცენტით ანაზღაურდება 16 კვირის განმავლობაში, ხოლო მშობიარობის გართულების შემთხვევაში 18 კვირისა. გადიდდა ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის განკუთვნილი დროც, — 3-დან 7 დღემდე, ხოლო თუ ქალი მარტო ზრდის ბავშვს, — 10 დღემდე.

1976 წელი. სსრკ უმაღლეს საბჭოსთან და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებთან შეიქმნა ქალის შრომისა და ყოფაცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების მუდმივი კომისია.

1978 წელი. სსრკ მინისტრთა საბჭომ და პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესების დამატებითი ღონისძიებების შესახებ.






## სამამულე რქა

სამი ათეული წლის წინათ ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის პატარძალმა ლოლა შერგელაშვილმა თეთრი კაბა გაიხადა თუ არა თვალი ვენახებისკენ გაექცა. შრომისმოყვარესა და ბეჯითს იზიდავდა ოდითგანვე ქართველი კაცის სათაყვანო ვაზი, რომელიც ალბათ ქართველთან ერთად გაჩნდა ამ ქვეყანაზე, ეძახდა სამამულე რქა, მაგრამ... ჯერ არ იცნობ სოფელს, მეზობლებს, სირცხვილია ახალმოყვანილმა ქალმა ხელები დაიკოჟროს და მზით დაიწვაო, იუარა დედამთილმა.

ივლისის ერთ დღეს კი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პარმენ მესხმა მათთან შეიარა ოჯახში და ლოლას ბედიც მაშინ გადაწყდა — მესამე ბრიგადის წევრებს ედიშერ და მარიამ მესხებს, ზინა ტაბატაძეს, ლუბა შავიძეს და სხვებს ამოუდგა გვერდში, მათთან ერთად გავიდა ზვრებსა და ყანებში. ბრიგადირმა გრიშა შავიძემ იქვე, სახლის ახლოს „მჭედლიურზე“ გაუპიროვნა ვენახის ნაკვეთი. მართალია, ვენახი ხანდაზმული და ძალიან მეჩხერი იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ლოლა ამან როდი შეაშინა, ზამთარში ნიადაგი მოამზადა და გაზაფხულზე გააშენა, სულ ციცქას ჯიშისა. გულმოდგინე მოვლითა და მზრუნველობით ვაზმა მალე დაისხა და მოამაგეს შრომა დაუფასა. ლოლას ყოველწლიურად ყურძნის უხვი მოსავალი მოჰყავდა.

1961 წელმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — ლოლამ ჰექტრიდან 218 ცენტნერი ყურძენი მიიღო. კიდევაც იმიტომ აკიაფდა მის მკერდზე ლენინის ორდენი.

მევენახე ქალი აქტიურია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როგორც მოწინავე, სკკპ რიგებში მიიღეს, მერგოლურად დააწინაურეს. 1959 წლიდან ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატია, მრავალჯერ აირჩიეს პარტიის რაიკომის წევრად. მისი ინიციატივით შეემატა სოფელს გზა და წყარო. ახლაც სოფელში თუ რამ კეთდება, ყველაფერს ლოლას ხელი ატყვია.

რა კარგი იყო, კიცხში გამოცდილების სკოლა რომ არსებობდა. აქ რაიონის მევენახეები გამოცდილებას იმდიდრებდნენ, მევენახეობის საკითხებზე ერთმანეთს აზრს უზიარებდნენ. მერე სკოლამ არსებობა შეწყვიტა. რატომ? დღემდე არ იციან. ლოლამაც უკმაყოფილება გამოთქვა ამის გამო.

1975 წლიდან ლოლა შერგელაშვილი მეშვიდე ბრიგადის ბრიგადირია. მის ბრიგადას ქალების საკრებულო შეარქვეს.

— ვიმუშაოთ უჩამორჩენილებოდ! — გადაწყვიტეს მეშვიდე ბრიგადის წევრებმა. მართლაც, არც ერთი არ ჰყავთ ჩამორჩენილი. ბრიგადირის მუშაობა ყველას მისაბაძად გაუხდია.

ვაზს მუდამ ზრუნვა სჭირდება. საკმაოა რამდენიმე საათით რომელიმე აგროტექნიკური ღონისძიება, უპირველესად კი შეწამვლა დააგვიანო, რომ მთელი მოსავალი დაიღუპება, — ამბობს ბრიგადირი.

წლის ყოველ დროს იბრძვიან ყურძნის უხვი მოსავლისათვის. მუშაობაში აგროტექნიკას და მოწინავეთა მდიდარ გამოცდილებას იყენებენ, ნიადაგს დროულად ამუშავებენ, მაღალხარისხოვნად სხლავენ ვაზს, ვენახებში საჭირო რაოდენობით შეაქვთ სასუქები, ებრძვიან სარეველებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ვაზის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლას, მწვანე ოპერაციებს.

ყურძნის მოსავლის მთავარი მტერი მეჩხერიანობაა. მეშვიდე ბრიგადის წევრები ვენახების ცარიელ ადგილებს გადაწიდვნით და მთლიანი ძირის გადაწვენით ახშირებენ, რასაც სასურველი შედეგი მოაქვს. მეჩხერიანობა ახლა მათს ვენახებში ერთი პროცენტია, მალე მთლიანად მოისპობა.

ამიტომაც კოლმეურნეობის ყურძნის წარმოების გადიდებაში დიდია ბრიგადისა და ბრიგადირის წვლილი.

შარშან მეტად დიდი გვალვები იყო, მაგრამ კოლმეურნეობამ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ყურძნის მოსავლიანობისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმავალდებულება. საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა ლოლას ბრიგადამ, რომელმაც გაპიროვნებული ვენახების თითოეული ჰექტრიდან 75 ცენტნერი ყურძენი მიიღო. თვითონ ბრიგადირმა 150 ცენტნერი მოიწია.

ხუთწლიანი გეგმით ბრიგადას სულ 1016,17 ცენტნერი ყურძენი უნდა ეწარმოებინა, ფაქტიურად კი 1380.54 ცენტნერი, ე. ი. 363,83 ცენტნერით მეტი აწარმოა. მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშზე დიდძალი ყურძენი მოჰყავთ.

ბრიგადაში პატივს სცემენ „მინდვრის დედოფალს". ჰექტრიდან გეგმური 23 ცენტნერის ნაცვლად, 25 ცენტნერი სიმინდი მოიწიეს.

ქენია კალატოზმა, გულიკო ჩაჩანიძემ, ვერა ბოგვერაძემ, ქსენია შერგელაშვილმა, ცაგო, ვარვარა, ცისანა, ნინო შავიძეებმა, თინა ჭყოიძემ და სხვებმა თვითეულმა 100-130 ცენტნერი ყურძენი და 25-30 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. სწორედ მათი თავდადებული შრომის შედეგია, რომ მეშვიდე ბრიგადა ხუთი წელია გამარჯვებას აღწევს ბრიგადებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ლოლა შერგელაშვილი აქტიური კოლმეურნეა. მას ღირსებას მატებს დიდი პასუხისმგებლობა და საქმის უსაზღვრო სიყვარული. შრომა მისთვის მხოლოდ არსებობის წყარო კი არა, მოთხოვნილებაა. ლოლას შეიძლება ანდო საქმე, რომელსაც უთუოდ კარგად შეასრულებს. ასეთი აზრისაა კიცხაში ყველა.

**ქეთევან სახვაძე,**
ორჯონიკიძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშით" — რედაქტორი.

**ლევან ფრუიძე**

# საქორწინო მოგზაურობა

(ერთი თანამედროვე ჩვეულების გამო)

რკინიგზის სადგურზე ხშირად წავწყდომივართ ასეთ სცენას: მექორწილენი რბილ ან საერთაშორისო ვაგონთან შეჯგუფებულან, არის ერთი გნიასი და სიცილ-ხარხარი, შამპანურის ბოთლების ბათქა-ბუთქი. შეღვინებული მეინახენი არეულად მღერიან, ზოგი ხუმრობს, მათი ხარხარი სივრცეს ბზარავს. ნეფე-დედოფალი უხერხულად, შეწუხებულნი დგანან და ერთი ფიქრი აქვთ, როდის მორჩება ეს ალიაქოთი.

— მოგიკვდეს დედა! — ცრემლებს ღვრის პატარძლის მშობელი.

— აბა, როგორ გინდა! — „ამხნევებს" ვიღაცა.

აჰა, როგორც იქნა, მატარებელი დაიძრა, წამოვიდა მიხაკებისა და ვარდების წვიმა, ნეფე-დედოფალი ფანჯრიდან ხელებს იქნევენ, შეხურებული მაყრები კი ვაგონს მისდევენ და გაჰყვირიან:

— ბიჭი, ბიჭი!

— აბა, ერთი კაცი არ დააკლდეს სუფრას! — ბრძანებას იძლევა ოჯახის უფროსი და ქორწილი კვლავ გრძელდება, ოღონდ უნეფოდ და უდედოფლოდ.

...სამუდამოდ დაკავშირებული ორი ახალგაზრდა კუპეში შეყუჟულან და ამ ბედნიერებას მაინცდამაინც მთლად სახიამოვნოდ ვერ აღიქვამენ, მაინც რა აუტანელია ვაგონის გამცილებლის და მოცლილი მგზავრების თვალები... ნუთუ ქორწინების პირველი ღამე ამგვარ ბანალობამდე უნდა დავიდეს!

აი, როგორია ჩვენი საქორწინო მოგზაურობა, რომელიც უცხოეთიდან უბოდიშოდ შემოგვეჭრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდების გასეირნებას და ქალაქების მონახულებას არავინ არ უარყოფს. კარგად მოფიქრებული და ორგანიზებული მოგზაურობის წინააღმდეგ, თუგინდ ის საქორწინოც იყოს, რომელი ჭკუათმყოფელი დასძრავს სიტყვას. ვისაც შესაძლებლობა აქვს, საქორწინო მოგზაურობას რა სჯობს. მაგრამ როდის უნდა შეირჩეს ამისთვის დრო?! სამწუხაროდ, ამ არსებით საკითხზე თითქმის არ დავფიქრებულვართ.

ადამიანის ცხოვრებაში ქორწილის როლსა და მნიშვნელობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. დღეს ყველა ჩვენგანმა იცის, რომ ოჯახი სახელმწიფოს საფუძველია, ხოლო ოჯახური სიმტკიცე, ღირსება და სიწმინდე გარდუვალი, სასიცოცხლო აუცილებლობა. ვინაიდან ამჟამად ახალ ოჯახთა მნიშვნელოვან ნაწილს საქორწინო მოგზაურობით ეყრება საფუძველი, ჩვენს ყოფაში დამკვიდრებული ეს მოვლენა აუცილებლად უნდა განისაჯოს და კრიტიკულად შეფასდეს.

საქართველოში ახალი ოჯახის შექმნა-დაფუძნებას ყოველ ეპოქაში დიდი გულისყურით ეკიდებოდნენ და საუკუნეთა მანძილზე ამ თვალთახედვით დახვეწილი სისტემა ჰქონდათ შემუშავებული, სადაც, როგორც ფოკუსში თავს იჩენდა ერის კულტურის თავისებურებანი, ტრადიციათა მთელი კომპლექსი, შეპირობებული ეკონომიკურ-მორალური ფაქტორებით, რომელთა სინთეზს მხოლოდ ერთი მიზანი ასულდგმულებდა — ერისათვის მიეცათ ჯანსაღი შთამომავლობა, ე. ი. თანამედროვე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, გადაეწყვიტათ მოსახლეობის გამრავლების პრობლემა. თუ როგორ აღწევდნენ ამას, ეს ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიიდან კარგად ჩანს. ძნელბედობამ თუ ყოვლისმომსვრელმა შემოსევებმა მრავალი ძველი ქვეყანა აღგავა მიწისაგან პირისა, ხოლო ქართველები გადარჩნენ და ღვთისმშობლის ჯადოსნური კალთა ვერაფერს გახდებოდა, რომ ჩვენს წინაპრებს ხანგრძლივი დაკვირვებისა და ცოდნა-გამოცდილების შედეგად ოჯახის შექმნის, ქორწინების, დედათა აღზრდის იდეალურად სრულყოფილი წესები არ ჰქონოდათ. წინაპართა ამ განძის გამოვლენაზე კარგა ხანია ეთნოგრაფები მუშაობენ და მათი ნაღვაწი უეჭველია დაგვეხმარება ჩვენს რესპუბლიკაში ასე მწვავედ დასმული გამრავლების პრობლემათა გადასაჭრელად. სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხთა ერთი რგოლია საქორწინო მოგზაურობა. თუ რა ზეგავლენას ახდენს იგი მოსახლეობის გამრავლებაზე, რამდენადაც ვიცით ამის შესახებ საგანგებო კვლევა-ძიება ჯერ არავის ჩაუტარებია, მაგრამ ცხოვრებისეული ფაქტები ცხადყოფენ რომ ეს ერთი შეხედვით უვნებელი გასეირნება, არცთუ იშვიათად, ქალის უშვილობით მთავრდება, არის მამაკაცთა დაჩლუნგების შემთხვევებიც. ამ უბედურებათა მიზეზების კომპლექსური გამოკვლევა სათანადო სპეციალისტთათვის მიგვინდვია. ჩვენ მხოლოდ საკითხს ვსვამთ და სავარაუდო მოსაზრებებს გამოვთქვამთ.

ცნობილია, რომ ხალხური ადათის ძალით ახლადშეუღლებულნი უფროსების მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათზე ზრუნვა ისე იყო გააზრებული, რომ თვით წყვილები არავითარ შეზღუდულობას და უხერხულობას არ გრძნობდნენ.

ისინი თაფლობის თვის ღამეებს სანთიობოში („სანთიობო") ეთნ. პატარა ოთახი ახლად დაქორწინებულთათვის... (ქართ. ენის განმარ. ლექს. ტ. VI, თბ; 1960, გვ. 754) ატარებდნენ, მათ ირგვლივ სითბო, სიყვარული და ბედნიერება სუფევდა. პატარძალს მარტო წყაროზედაც არ გაუშვებდნენ — უცხო თვალმა არ დასცადოსო. მისი მასიამოვნებელნი იყვნენ დედამთილი, უფროსი რძლები, ხშირად ნახულობდა და თავს დასტრილებდა აგრეთვე დედა. წესიერი, დაუზარებელი პატარძალი საერთო აღიარებას და ხოტბას იმსახურებდა, ხოლო ზარმაცს, უწესოს და უსაქციელოს საზოგადოებრივი აზრი მკაცრად ამათრახებდა, რაც მშვენივრადაა ასახული ხალხურ პოეზიაში. ასეთი ყურადღება იმით აიხსნება, რომ ოჯახის კეთილდღეობა და მომავალი პატარძლის ავკარგზე იყო დამოკიდებული. დღეს პატარძლებისადმი ასეთი დამოკიდებულება თითქმის აღარ შეინიშნება, ხოლო თაფლობის თვეს მას ოჯახში კი არ ვატარებინებთ. სამოგზაუროდ ვგზავნით და ვინ იცის, იქ რა მოელის...

„ახალგაზრდებს მარტო ყოფნა უნდათო" — ირწმუნება ზოგიერთი. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ უმჯობესია ოჯახის წევრები სხვაგან გაიხიზნონ, ვიდრე ახლადდაქორწინებულებმა იხეტიალონ.

ძველად საქართველოში საქორწინო მოგზაურობა არ იცოდნენ. ამისი სურვილი კიდეც რომ ჰქონოდათ, სახელმწიფოებრივი პირობები არ იყო, მეტადრე გვიანდელ საშუალო საუკუნეებში, როცა სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული ქვეყანა ტყვეთ სყიდვის ასპარეზად იყო ქცეული, ჯანსაღ ახალგაზრდებს სახლებიდან იტაცებდნენ და მონათა ბაზრებზე ჰყიდდნენ. მაგრამ ქართველმა ხალხმა ასეთ საშინელებასაც გაუძლო და ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა. და ამას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ჩვენი პატარძლების ღირსებას და ჭეშმარიტად სპეტაკ, წმიდა დედობრივ ეროვნულ გრძნობებსაც უნდა ვუმადლოდეთ.

საქორწინო მოგზაურობანი ჩვენთან ძირითადად, სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გავრცელდა. გავრცელდა უკრიტიკოდ, შეუფასებლად, ისე, როგორც მოდის უცნაურობა, ვერაგი კიჩი.

როცა ახალგაზრდები საქორწინო მოგზაურობაში მიდიან, და ერთმანეთს უკვე ყოველმხრივ კარგად იცნობენ, მათთვის ეს მართლაც სახალისო მგზავრობაა, გზაში არავითარი გაუგებრობა და შეუთავსებლობა არ არის მოსალოდნელი, მაგრამ როცა ქალი უბიწოა, თავსმოხვეული მგზავრობის დროს იგი რთულ, შეიძლება პირდაპირ ითქვას, აუტანელ პირობებში ვარდება. ამ გარემოებაზე ჯერჯერობით არც სპეცსამსახურებში დაფიქრებულან. ისინი საქორწინო მოგზაურობას რეკლამას უკეთებენ და მსურველთ პრაქტიკულადაც ეხმარებიან (სამგზავრო ბილეთების და სასტუმროს ნომრების დაჯავშნა). რამდენადაც ვიცი, მოგზაურობა ხელისმოწერისთანავე უნდა მოხდეს, თუ დააგვიანეს საქორწინო მოწმობა ძალას კარგავს, საწესჩვეულებო უწყებიდან შეღავათებს ვეღარ მიიღებ. და ერთმანეთის ჯიბრზე ჩვენს შვილებს უცხო ქალაქებში ვერეკებით, თავიანთი ცხოვრების ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო, ძნელ ჟამს, როცა ყველაზე მეტად სჭირდებათ მათ მშობლების თანადგომა, სიახლოვე, რჩევა-დარიგება. მათი უმრავლესობა ხომ სექსის შესახებ ძალიან ცუდად არის ინფორმირებული და ამ სათუთ, სერიოზულ საქმეში ძირითად მასწავლებლად ჯერჯერობით ქუჩა რჩება.

მაშ რა ვქნათ, საქორწინო მოგზაურობა ავკრძალოთ?!

უკვე მესმის მოდასაყოლილი ახალგაზრდებისა და მათი მშობლების საპროტესტო დრტვინვა — დაგვანებეთ, ბატონო, თავი, ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცითო.

ნურას უკაცრავად, ჩვეულებრივ, პიროვნებანი ქმნიან ოჯახებს და ეს მარტო პირადი კი არა, საქვეყნო საქმეც არის. ამიტომ აქ დათმობა დაუშვებელია, კიჩით გონებადაბინდულნი უნდა გამოფხიზლდნენ და თავიანთი შვილების მომავალს ზოგადეროვნული მასშტაბებით შეხედონ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქორწინო მოგზაურობა მაინც პირადი საქმეა და აქ ადმინისტრაციული ჩარევა დაუშვებელია. ვისაც სურვილი და შესაძლებლობა აქვს, ბუნებრივია, მან უნდა იმოგზაუროს, მაგრამ არა ხელისმოწერისთანავე, არამედ საკმაო ხნის გავლის შემდეგ, როცა ახალგაზრდები ერთმანეთს შეეჩვევიან და სრულფასოვანი მეუღლეები გახდებიან, ვადის განსაზღვრა ინდივიდუალური უნდა იყოს, საერთოდ ეს საქმე სპეციალისტებმა უნდა გადაწყვიტონ.

უფრო მეტიც, საქორწინო თუ ქორწინების შემდგომი მოგზაურობანი კარგად უნდა იყოს ორგანიზებული, რაშიც გადამწყვეტი როლი შესაბამის უწყებებს ეკუთვნის. წინასწარ უნდა შემუშავდეს მარშრუტები. კომფორტსა და ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად მოგზაურებმა გონებრივი ჰორიზონტიც უნდა გაიფართოონ. დასამალი არ არის, რომ ახლანდელი საქორწინო მოგზაურობანი ემპირიზმზეა დამყარებული, წყვილები მაღაზიებში სიარულით იქანცებიან, ხოლო მუზეუმებსა, სამხატვრო გალერეიებსა და თეატრებში იშვიათად შეიხედავენ. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია უცხოეთიდან მექანიკურად გადმონერგილი საქორწინო მოგზაურობანი მავნე ჩვეულებად, ამპარტავნულ კიჩად, მათ არავითარი გამართლება არა აქვთ, თუკი სათანადოდ არ გავიაზრეთ და გარდავქმენით

ვნახოთ რას იტყვიან სპეციალისტები!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლამაზი ბიოგრაფია

ადამიანს ისე არაფერი ამშვენებს, როგორც ლამაზი ბიოგრაფია...

ზინაიდა კევლიშვილი თავის ღირსეულ მეუღლესთან, გიორგი მელითაურთან ერთად 60 წელზე მეტ ხანს უანგაროდ ემსახურა ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებას. ჯერ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში მასწავლებლობდა, შემდეგ კი თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. აქედან გავიდა პენსიაზე, მაგრამ დღესაც მუდმივ ყურადღებას უთმობს განათლების აქტუალურ საკითხებს და ისევე ეხმიანება, როგორც პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში.

კახეთის ულამაზეს კუთხეში, ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში დაიბადა ზინაიდა კევლიშვილი. ჯერ თელავის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ კი თბილისის მესამე ქალთა გიმნაზიაში.

გიმნაზიის დამთავრების შემდგე, 1908 წელს პეტერბურგს მიაშურა უმაღლესი განათლების მისაღებად. „შვეიცარიაში მინდოდა წავსულიყავი და მესწავლა, მაგრამ ჩვენებმა არ გამიშვეს, ქალია, როგორ შეიძლებაო, უთქვამს ბიძაჩემს. — მის გადაწყვეტილებას ძალაუნებურად დავემორჩილე, რადგან მამის გარდაცვალების შემდეგ ბიძა იყო ჩვენი პატრონი". გვითხრა ქალბატონმა ზინაიდამ.

პეტერბურგში პ. კ. ლესგავტის სახელობის უმაღლესი კურსების ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე შესულა. დღესაც სიამოვნებით იგონებს სახელგანთქმული პროფესორების ტარლეს, კოგანის, კოვალევსკის, ანდრეევის და სხვათა ლექციებს.

1911—12 წლებში პეტერბურგში იმყოფებოდა ივანე ჯავახიშვილი, ბესტუჟევის სახელობის ქალთა უმაღლეს კურსებზე იგი საქართველოს ისტორიის ლექციებს კითხულობდა. ქალბატონი ზინა ქეთო ბაქრაძესთან (შემდეგში პავლე ინგოროყვას მეუღლე). ერთად რამდენჯერმე დასწრებია პატივცემულ ივანეს ლექციებს მას დღესაც ცხოველ მოგონებად აქვს შემორჩენილი ამ ლექციებზე მიღებული შთაბეჭდილებანი.

ზ. კევლიშვილი ჩვენი დიდებული პოეტის აკაკი წერეთლის მომსწრე და მნახველია: ქალბატონ ზინაიდას პეტერბურგში სწავლის პერიოდში იქ აკაკი წერეთელი ჩასულა. სწორედ ამ დროს ქართველთა სათვისტომო საზოგადოებას კონცერტი გაუმართავს. კონცერტში საქველმოქმედო მიზნით ლეონიდ ვიტალის ძე სობინოვსაც მიუღია მონაწილეობა.

— სობინოვი უკვე სცენაზე იდგა—იგონებს ქალბატონი ზინაიდა, — როცა დინჯად მომავალი აკაკი დაინახა. პოეტი ოდნავ თავაზიდული მობრძანდებოდა. გვერდით ქულაჯებში გამოწყობილი ახალგაზრდები ახლდნენ: სობინოვი შეყოვნდა და ვიდრე აკაკი ადგილზე არ დაბრძანდა, სიმღერა არ დაუწყია. შემდეგ სტუდენტებს ქართული სიმღერები შეუსრულებიათ, წაუკითხავთ აკაკის ლექსები, უცეკვიათ; რუსეთის თეატრალური საზოგადოება დარბაზში მყოფ ქართველებთან ერთად ოვაციითა და სიყვარულით მისალმებია საქართველოს დიდ პოეტსა და რუსეთის გამოჩენილ მომღერალს. ეს საღამო რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის ზეიმად ქცეულა. ეს მოგონება დღესაც ნათელსვეტად აქვს გულში ჩარჩენილი ქალბატონ ზინაიდას. კონცერტი ღარიბ სტუდენტთა დასახმარებლად ყოფილა განკუთვნილი.

ქალბატონ ზინაიდას დღესაც თვალწინ უდგას პეტერბურგში ალექსანდრეს მოედანზე მოთავსებული რევოლუციური შტაბი, 1917 წლის აპრილში აქ, ამართულ ტრიბუნაზე მოხსენებებით გამოდიოდა ლენინი.

ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში ქალბატონი ზინაიდა საქართველოში დაბრუნდა და თბილისის განათლების სისტემაში დაიწყო მუშაობა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი მასწავლებლობდა თელავის ქართულ სკოლებში.

1938 წელს, თელავში სამასწავლებლო ინსტიტუტი დაარსდა, რომელიც შემდეგ პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა. ზინაიდა კევლიშვილი ერთი პირველთაგანი მოიწვიეს რუსული ენის სწავლების მეთოდიკაში ლექციების წასაკითხად და წამყვან მასწავლებლად. აქ იგი 1957 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე მოღვაწეობდა.

1941 წელს თვალცრემლიანმა გააცილა ფრონტებზე თავისი აღზრდილები. შემდეგ კი ელოდა მათ წერილებსა და დაბრუნებას...

პენსიაზე გასვლის შემდეგაც ხშირად მონაწილეობდა ინსტიტუტის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში. დღესაც ახალგაზრდების წინსვლა და გამარჯვებები ასულდგმულებს 92 წლის მასწავლებელს.

ქეთევან წერეთელი,
თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრის დოცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ის კაცი

„... ნეტავ არ დაღამდებოდეს... მოვა ის კაცი, ყველაფერს დაამსხვრევს. დედას გალანძღავს, იქნებ სცემოს კიდეც, მერე ბავშვებსაც ზედ მიგვაყოლებს. ღმერთო ჩემო, რა გვეშველება? ნეტავი, ვერავინ მოერევა? ეჰ, სჯობს მის მოსვლამდე გაკვეთილები მოვამზადო...“

„... დღეს გაკვეთილზე ტყუილად ვიჯექი, არაფერი გამიგია. მხოლოდ თავის გადარჩენაზე ვფიქრობ. სამი დღეა კატო ბებოს საქათმეში გვძინავს... გაკვეთილების სწავლაზე ფიქრიც ზედმეტია. სულ იმ კაცის ღრიალი ჩამესმის ყურში. დედა ძალიან დასუსტდა, სულ ტირის... რაღა იქნებოდა, ღრიალმა გამაღვიძა:

„...წუხელ დიდხანს მეღვიძა. ის კაცი რომ აღარ გამოჩნდა, ჩამეძინა. მეგონა აღარ მოვიდოდა (ამ ბოლო დროს ღამღამობით აღარ მოდის შინ, ნეტავ სულ არ მოვიდოდეს...). შუაღამე გადასული იქნებოდა. ღრიალმა გამაღვიძა:

— ქალი რა გასაჩენია. სულ ერთია, 18-ისა გახდება თუ არა, ჩემი ხელით მოვკლავ...

მივხვდი, რომ ჩემზე იყო „საუბარი“. ლოგინში ჩავიმალე. დედას კიდევ სცემა. ეტყობა, არც ისე მთვრალი იყო“.

„...დღეს გაკვეთილი მკითხა ნინო მასწავლებელმა. არ ვიცი მეთქი. არაფერი უთქვამს. ყველამ იცის კლასში, რომ მხოლოდ იმ კაცის მხეცობა თუ შემიშლის ხელს, სხვა არაფერი.

წუხელ ნასვამი მოვიდა, მაგრამ ეტყობა, კიდევ „სწყუროდა“. ღვინო დაისხა, დალია, დაისხა, — დალია... მერე დედას დაუსხა, აიძულა დაელია. კიდევ დალია, დედასაც ისევ დაუსხა და, დედა რომ გაუძალიანდა, ახლა ძალით ჩაასხა ღვინო კისერში. ველარ მოვითმინე და ავღრიალდი. დიდედა შემოვარდა, ძალოც... ყველას აგინა, იყვირა, დაგვემუქრა... მერე მიეგდო და მიიძინა“.

„...ახლა ჭკუა ვისწავლე — ლოგინში ჩაცმული ვწვები. გამოჩნდება თუ არა ის კაცი, თავის საშველად გავრბივარ. რა ვქნა, დედას რა ეშველება? მადლობა ღმერთს, თიკოს მაინც არა სცემს. კიდევ კარგი, ამ ბოლო დროს ღამეს ხშირად შინ აღარ ათევს. ნეტავ სულ არ მოვიდოდეს“.

„...წუხელ სულ გამხეცდა ის კაცი, დედას ჰკლავდა. ის იყო ვწვებოდი, დედა გავარდა, თავი უნდა მოვიკლაო. შემეშინდა, ხიდიდან არ გადავარდეს მეთქი, ფეხშიშველა გამოვუდექი. ვიდრე თოვლზე გავრბოდი, არა უშავდა. ყინულზე გამიჭირდა, ფეხები ისე ეკვროდა, ძლივს ვიღებდი. მეზობლები გამოცვივდნენ. დაგვედევნენ. დედა გადამალეს. მეც მიპოვნეს ყინულზე გულწასული და შემიფარეს... მაინც რა საოცარი ქალია დედაჩემი, არავისთან დასცდება იმ კაცის საყვედური. ჩვენც გვაფრთხილებს, მამის აუგი არავის უთხრათო“....

„ჩემთვის არც დღესასწაულია, არც ახალი წელი. დღეს საშვიდნოემბრო დემონსტრაციაზე ვიყავი. შინ თამამად წამოვედი, ის კაცი ახლა იშვიათად მოდის. ჭიშკარში რომ შევედი, ძალო შემომხვდა, მანიშნა: მოსულია, მთვრალია, თავს უშველეო.

ველარ მოვასწარი გაბრუნება. გამომიდგა, დედაშენი სად არისო, მწვდა თმაში. მერე ჩემი ნაწნავები ხელზე დაიხვია და ხან იქით მახეთქებდა, ხან აქეთ... ისევ მეზობლებმა მიშველეს და ბეღელში დამმალეს. მერე ძალომ დედაჩემი გალანძღა და დაემუქრა: — შენ თუ არ წახვალ მილიციაში და არ უჩივლებ იმ მხეცს, მე ვუჩივლებო. ძალოს ტუჩებზე ხელები მიაფარა ატირებულმა დედამ და უთხრა: „ნუ, დაო, საქვეყნოდ ვერ გავხდი ქმრის ავკაცობას. რა ვქნა, ორი ქალიშვილის დედა ვარ“...

მგონი გვეშველა. სულ წაეთრა ის კაცი სახლიდან, ძალო ამბობს თავის ოხერ ნათლიდედასთან გადაბარგდაო. იქ ბიჭი ჰყოლია, ჩვენ სულ აღარ ვუნდივართ. ჯანდაბამდე გზა ჰქონია, ოღონდ ჩვენ ნუღარ აგვაწიოკებს.“...

„...მაინც მოდის ღამ-ღამობით მთვრალი. შუაღამისას სახლს ქვებს უშენს, ფანჯრებს ამსხვრევს. დიდედაც კი არ ებრალება, ჩვენზე რაღა ვთქვა. დიდედა ჩვენთან დარჩა: „მერე რა, რომ შვილია, იმ მხეცთან სიცოცხლეს თქვენთან სიკვდილი მირჩევნიაო, ცოცხალიც თქვენი ვარ, დიდედო გენაცვალოთ, და მკვდარიცო“...

ეს დღიურები ორმოციოდე წლის ქალმა მოიტანა რედაქციაში. მოკრძალებით გადმომცა და მითხრა: „დასახევად ვერ გავიმეტე, ამ დღიურებში ჩავდე მთელი ჩემი ყმაწვილ-ქალობის ტანჯვა-ტკივილი. იქნებ თქვენი წყალობით სინათლე იხილოს და ზოგიერთმა „კაცმა“ მსგავსი აღარ ჩაიდინოს.“

„მამამ“ — იმ კაცმა მიატოვა ოჯახი — ცოლი და ორი ქალიშვილი (ვაჟი მის მხეცობას ემსხვერპლა) და ნათლიდედას „შეეკედლა“. „ნათლიდედასთან“ ქალ-ვაჟი შეეძინა. თუმცა საუკუნოდ ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს, „ნათლიდედა“ წლების მანძილზე სახელმწიფოსაგან მაინც იღებდა მარტოხელა დედის დახმარებას.

ახლა ივანეს სოფელში დიდებული სახლ-კარი აქვს, საკომლო დავთარში რეგისტრირებულია, მაგრამ ავკაცობა ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი.

ვერ მოისვენა, ოცი წელია ისევ აწიოკებს პირველ ცოლ-შვილს. სახლიდან უნდა გამორეკოს: „სახლი ჩემია და ცოცხალი თავით არ დაგანებებთ, მერე რა, რომ ოცი წელი აქ არ მიცხოვრიაო“.

კიდევ კარგი, საცოდავი დედამისი მის მორიგ ავკაცობას ველარ მოესწრო, პირველ რძალსა და შვილიშვილებზე ლოცვით დატოვა ეს ქვეყანა.

ბოროტი სული არ ასვენებს ულირს მამას. მისგან მიტოვებული რომ ღირსეული ქალები დაიზარდნენ, მათს დედას რომ სიბერე მაინც ტკბილი აქვს, გული ბოღმით ევსება.

უგულობა, სიხარბე, მომხვეჭელობა, ავკაცობა. — აი ივანეს ცხოვრების, არსებობის ძირითადი მიზანი.

რა დავარქვათ „ამ კაცს“?

ამ ამბავში მხოლოდ გვარებია გამოგონილი. ამბავი სინამდვილეა, სამწუხაროდ, სინამდვილე...

ლალი ჭანკოტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათი მცნება

ნაწყვეტი თ. დოლჩეკის წიგნიდან
„კალორიების საშიში სამყარო“

უსამართლობაა, აბა, რა?! ზოგს უფლება აქვს საკუთარ წონაზე სულაც არ იფიქროს, ზოგს კი ზედმეტი კილოგრამების პრობლემა თითქმის მთელი სიცოცხლე აწუხებს. ეს „ბედისგან დაჩაგრული“ ხალხი იძულებულია საკმაო ძალა და ენერგია დახარჯოს იმისთვის, რომ წონაში დაიკლოს ან ერთი და იგივე წონა შეინარჩუნოს, საერთო საზრუნავის გარდა, სულ იმაზე უნდა იფიქროს, ზომაზე მეტი არ შეჭამოს, ამიტომ ასეთმა ხალხმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს „ათი მცნება“ გასუქების წინააღმდეგ.

1. მოძებნეთ შესაბამისი მოტივი!

მიზნის მისაღწევად მსუქას ადამიანს უნდა სწამდეს, რომ აუცილებელია გახდომა; კარგად დარწმუნდეს მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს იპოვოს საკუთარ თავში საჭირო ძალა და წამოწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველმა ავადმყოფმა უნდა მოძებნოს შესაფერისი მოტივი, ანდა თავისი ოჯახის, მეგობრების, კოლეგების და ექიმების დახმარებით. ვინც სწორ მოტივს იპოვნის მხოლოდ ის აჯობებს ცდუნებას საოჯახო ზეიმებზე, დღეობებზე, ბანკეტებზე, შვებულების დროს ან უეცარი განცდებისას, რომელთა დროს საჭმელი ხშირად დამამშვიდებლად გვევლინება. სწორედ ნაპოვნი მოტივი საუკეთესო საფარია ყველა კალორიულ ცდუნებათაგან.

2. შეიკავეთ თავი და დროულად აიცილეთ სიმსუქნე!

უფრო იოლი, იაფი და სასარგებლოა სიმსუქნის თავიდან აცილება, ვიდრე მისი მკურნალობა. მედიცინის მიერ შემოთავაზებული ზომები სიმსუქნის წინააღმდეგ სრულიად გამართლებულია, რადგან სიმსუქნისადმი მიდრეკილება ადამიანს ადრეულ ასაკშივე ეტყობა, გასუქების საწინააღმდეგო პროფილაქტიკაც აქედანვე უნდა დაიწყოს. რა თქმა უნდა, კარგია თუ მსუქანი გახდება, მაგრამ სიმსუქნის პერიოდში შეიძლება დაგვეწყოს ტკივილები მუხლებში და მენჯბარძაყის სახსრებში, ამიტომ უმჯობესია, თავიდან ავიცილოთ სიმსუქნე, უმრავლესობისათვის აუცილებელი პირობაა თავის შეკავება. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ დღიურ ნორმაზე 200 კალორიით მეტს ვღებულობთ; უკანასკნელ ათწლეულებში ჩვენს მიერ მიღებული კალორიების რაოდენობა განუხრელად იზრდება, ფიზიკური დატვირთვა კი მცირდება.

რა შედეგს მოგვცემს ეს? — მხოლოდ და მხოლოდ გავსუქდებით!

თავშეკავების მაჩვენებელია საშუალო წონა. ჭამეთ იმდენი, რომ შეინარჩუნოთ საშუალო წონა, თუ თქვენ ამას შეძლებთ, მაშინ კალორიების ანგარიში საჭირო არ არის.

3. იმოძრავეთ მეტი, ხელი მოჰკიდეთ სპორტს და აქტიურად დაისვენეთ!

არსებობს გახდომის ორი სრულფასოვანი ხერხი: ან უნდა ჭამოთ ნაკლები, ან დახარჯოთ მეტი ენერგია, ე. ი. მეტი იმოძრაოთ, იდეალურია, თუ ორივე ხერხი შერწყმულია. ამასთან, მოძრაობა ხელს უწყობს გულსისხლძარღვთა სისტემის ნორმალურად მუშაობას. რა თქმა უნდა, სავალდებულო არ არის ყველა დარბოდეს, ცურავდეს, თუმცა სასურველია, რომ სპორტში რაც შეიძლება მეტი ხალხი იყოს ჩაბმული. საკმარისია ყოველ დღე რეგულარული, საკმაოდ ხანგრძლივი სიარული, ბაღში მუშაობა და ა. შ.

4. თავი აარიდეთ ნახშირწყლებს, შეზღუდეთ ცხიმები, უპირატესობა მიეცით ცილებს, ბოსტნეულს და ხილს.

არსებული მონაცემებით სიმსუქნისათვის ყველაზე საშიშია ნახშირწყლები, ნაკლებსაშიში — ცილები. ცხიმები შეიცავს კალორიების დიდ რაოდენობას, მათი „საფრთხე“ ის არის, რომ ცხიმის მცირე მოცულობაც კი კალორიების დიდ რაოდენობას შეიცავს. კალორიების მიხედვით კონცენტრირებული ნახშირწყლები (შაქარი, ფქვილი, ბრინჯი) ან ნახშირწყლების და ცხიმების მაღალკალორიული კომბინაციები (შოკოლადი) უნდა შევცვალოთ ნაკლებკონცენტრირებული ნახშირწყლებით (ხილი, კარტოფილი), მაგრამ ხილიცა და კარტოფილიც შეიცავს კალორიებს, რომელთა შესახებ მუდამ უნდა გვახსოვდეს, ბევრი მსუქანი ადამიანი, რომელსაც საკუთარი ბაღი აქვს, შემოდგომაზე რეგულარულად რამდენიმე კილოგრამს იმატებს. ამ შემთხვევაში იდეალურია ბოსტნეული, რომელიც მინიმალური რაოდენობით შეიცავს კალორიებს და ამავე დროს წარმოადგენს ვიტამინების წყაროს. უნდა ვეცადოთ, რომ მარტო ოჯახში კი არა, საზოგადოებრივი კვების სისტემაშიც, ძირითადად, სკოლის სასადილოებშიც კი, მენიუში ხილი და ბოსტნეული აუცილებლად შედიოდეს.

5. სამსახურში წასვლის წინ მიღებული საკვები უნდა იყოს ძირითადი!

მრავალი ჩვენთაგანი საუზმის დროს ცოტას ჭამს, სამაგიეროდ დანაკლისს ივსებს გვიან სადილობისას ან ძლიერ კალორიული ვახშმით. ეს მათი ძირითადი შეცდომაა. სამსახურში წასვლის წინ მიღებული საჭმელი უნდა იყოს ძირითადი და უნდა შეიცავდეს კალორიების უმეტეს რაოდენობას. მაშინ, საღამოს, შინ ჩვენ არ დაგვჭირდება ამდენის ჭამა. ხანგრძლივი ინტერვალი საუზმეს და სადილს შორის ასევე სასარგებლო არ არის, რადგანაც ხანგრძლივი შიმშილის შემდეგ მიღებული უხვი საკვები ხელს უწყობს ორგანიზმში ცხიმის დაგროვებას.

6. ყოველთვის ყველგან დაიცავით განმტვირთავი დიეტა

დიეტა დაიცავით ყოველგვარ პირობებში — სამუშაოზე, გზაში, დასვენებისას, ზეიმის დროს. თუ ამისაგან თავს ვერ დაიცავთ, მაშინ უნდა დაიცვათ ძირითადი წესი მაინც — არ მიიღოთ კონცენტრირებული ნახშირწყლები და ცხიმიანი კერძები. „ნახშირწყლებიანი ორგიის“ შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში წონაში შეიძლება საგრძნობლად მოიმატოთ.

ძირითადად უნდა შეზღუდოთ გარნირების (ბრინჯი, ბევრი კარტოფილი და სხვ), კალორიული საწებლების, ტკბილეულის, პურისა და ლუდის მიღება.

ბანკეტების ორგანიზატორებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ მრავალ კერძებს შორის იყოს ისეთიც, რომელიც შესაფერისი იქნება დიეტაზე მყოფი ადამიანისთვის.

7. გახსოვდეთ ფარული ზედმეტი ჭამის შესახებ!

ზედმეტი ჭამის ამ სახეობაზე ბევრს, უმრავლეს შემთხვევაში, წარმოდგენაც არა აქვს. დიასახლისი იშვიათად თუ მიხვდება იმას, რომ საკვების ნარჩენების შეჭმის შედეგად იგი ნორმის ზევით მნიშვნელოვანი რაოდენობის კალორიებს ღებულობს. ყავაში ან ჩაიში ოთხი ნაჭერი შაქარი წელიწადში თითქმის 4 კგ. ცხიმიან ქსოვილს გვამატებს, ხოლო ყოველდღე ნორმაზე მეტი ერთი კათხა ლუდი — 8 კგ-ზე მეტს.

მსუქან ან გასუქებისაკენ მიდრეკილ ადამიანს მუდამ უნდა ახსოვდეს ზედმეტი ჭამის ამ ფარული ფორმის შესახებ და მას თავი უნდა აარიდოს, ანდა მეტი იმოძრაოს. სხვაგვარად საქმე წინ ვერ წავა.

8. თუ ჭკოვებთ სიმშვიდეს ჭამაში!

ცნობილია, სხვადასხვა უსიამოვნო სიტუაციების დროს, ჭამის პროცესი ადამიანს ამშვიდებს. ზოგჯერ იგი სასიცოცხლო პროგრამის უკმარისობას გამოხატავს. ზოგჯერ კი ერთადერთ ნუგეშს. ზოგიერთი, როცა ბევრი საზრუნავი აქვს, მაშინ სუქდება, ზოგიც ღამის დეპრესიასა და ნაღვლიან ფიქრებს ტკბილეულის ჭამით ფანტავს; საჭიროა კარგად დავფიქრდეთ ამგვარი „დამშვიდებით“ ხომ არ გავსუქდებით, რაც შემდეგ თავად გახდება, ზრუნვის ან უქეიფობის მიზეზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 9. გახსოვდეთ გასუქებისათვის საშიში პერიოდის შესახებ!

ცხოვრებაში არის ისეთი პერიოდები და სიტუაციები, როცა ადამიანი სიმსუქნისაკენ უფრო მეტ მიდრეკილებას იჩენს. ქალებისათვის ეს არის ფეხმძიმობისა და ძუძუს წოვების, ზოგჯერ კლიმაქსის პერიოდიც.

მამაკაცებისა და ქალებისათვის ასეთი პერიოდი შეიძლება იყოს. ცოლქმრული ცხოვრების დასაწყისი, მძიმე ფიზიკური შრომიდან უფრო იოლზე გადასვლა, მიღებული ტრავმის შემდეგ იძულებითი უძრაობა, ზოგჯერ თამბაქოს წევისაგან თავის შეკავება. სპორტსმენი შეიძლება გასუქდეს მას შემდეგ, რაც თავს დაანებებს ინტენსიურ წვრთნას და ა. შ.

### 10. ბოლომდე მიიყვანეთ დაწყებული საქმე და, თუ სავალდებულოა, დროზე მიმართეთ ექიმს!

არ შეიძლება იმ კილოგრამების ერთბაშად დაკლება, რომლებიც თანდათანობით რამდენიმე წლის განმავლობაში შეიძინეთ; უნდა გამოიჩინოთ მოთმინება და ნებისყოფა. ბევრისთვის ეს ნიშნავს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ფხიზლად ყოფნას, მაგრამ თუ თქვენ სწორად შეარჩიეთ მოტივი, ყველაფერს გაუძლებთ!

თუ თქვენს მეცადინეობას შედეგი არ მოჰყვება, მაგრამ დარწმუნებული კი ბრძანდებით, რომ სწორად იქცევით, მაშინ უნდა მიმართოთ ექიმს, რომელიც გამოგიწერთ წამალს, მაგრამ წამლის მიღების დროსაც გახსოვდეთ: მიიღეთ ნაკლები საკვები (განმტვირთავი დიეტა) და დახარჯეთ მეტი ენერგია (ინტენსიური მოძრაობა).

### ადამიანის საქმიანობა და კალორიები

განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად ჩვენ უნდა დავხარჯოთ კალორიების გარკვეული რაოდენობა. მძიმე ფიზიკური შრომა ენერგიის ხარჯვას მოითხოვს, ვიდრე მსუბუქი სამუშაო. ყველაზე ნაკლები ენერგია იხარჯება ძილის დროს. ერთი და იგივე წონის (70 კგ-მდე) მამაკაცი და ქალი ძილში 1 საათის განმავლობაში 60-70-მდე კალორიას წვავს, წყნარად ჯდომისას — 90 კალორიას. აქედან გამომდინარეობს, რომ ხანგრძლივი ძილი ან დასვენება ხელს უწყობს გასუქებას, მოზრდილ ადამიანს დღეღამეში 7-8 საათზე მეტი არ უნდა ეძინოს.

ენერგიის რაოდენობა, რომელსაც ადამიანი ხარჯავს მშვიდ მდგომარეობაში ან ძილის დროს, წარმოადგენს ენერგიის ძირითად ხარჯს, ე. წ. ძირითად ცვლას. ფიზიკური სირთულის მიხედვით არის მსუბუქი, საშუალო, მძიმე და ძალიან მძიმე სამუშაო. ცხრილში № 1 მოცემულია მონაცემები კალორიების ხარჯვის საშუალო სიდიდისა სამუშაოს ხასიათის მიხედვით. მაგრამ აქ ლაპარაკია მიახლოებით მონაცემებზე, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება განსხვავებული იყოს.

ცხრილში № 2. მოცემულია ენერგიის ხარჯი სხვადასხვა საქმიანობისას. 70 კგ. წონის ნორმალურად განვითარებული მამაკაცისათვის, ხოლო ცხრილში № 3 — მიღებული კალორიების დახარჯვისათვის საჭირო დრო სხვადასხვა ფიზიკური საქმიანობისას — სხვადასხვა საქმიანობის დროს კალორიების ხარჯში შეიძლება აღინიშნოს საკმაოდ სერიოზული ინდივიდუალური სხვაობა. ადამიანის ტვინში ფუნქციონირებს მართვის ცენტრები, რომლებიც აწესრიგებენ ენერგიის ხარჯვას. თუ მისი მექანიზმი ირღვევა ადამიანი სუქდება ან ხდება.

### კალორიების ხარჯვის საშუალო სიდიდე სამუშაოს ხასიათის მიხედვით.

ცხრილი № 1

| სირთულის ხარისხი | კალორიების დღიური ხარჯი (კკალ) | |
|---|---|---|
| | ქალები | მამაკაცები |
| მჯდომარე სამუშაო | 2300 | 2600 |
| საშუალო სიმძიმის სამუშაო | 2600 | 3000 |
| მძიმე სამუშაო | 3000 | 3500 |
| ძალიან მძიმე სამუშაო | — | 4000—5000 |
| ფეხმძიმე ქალი | 2800 | — |
| მეძუძური ქალი | 3000 | — |

ენერგიის ხარჯვა სხვადასხვა საქმიანობის დროს (მამაკაცები)

ცხრილი № 2

| საქმიანობის ხასიათი | კალორიების ხარჯვა (კკალ/სთ) ერთ საათში |
|---|---|
| ძილი | 60—70 |
| წყნარად ჯდომა | 90 |
| მუშაობა მანქანის საჭესთან | 130 |
| მუშაობა საბეჭდ მანქანასთან | 140 |
| ბინის დალაგება | 170 |
| სადურგლო სამუშაო | 250 |
| მეშახტის, ტყის მჭრელის, ქვის მთლელის სამუშაო | 400—450 |
| ცურვა | 500—800 |
| ნელი სიარული | 200 |
| ჩქარი სიარული | 300 |
| ველოსიპედით სიარული | 300—400 |
| კიბეზე ასვლა | 1100 |
| სირბილი | 800—2000 |
| ფეხბურთი | 550 |

საქმიანობის ხანგრძლიობა ენერგიის დასახარჯად

ცხრილი № 3

| საკვები პროდუქტი | საქმიანობის ხანგრძლივობა წუთებში | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ჯდომა | დგომა | სიარული | ველოსიპედით სვლა | ცურვა | სირბილი |
| ვაშლი (დიდი) | 100 | 78 | 19 | 12 | 9 | 5 |
| ფუნთუშა | 135 | 110 | 27 | 17 | 13 | 7 |
| კვერცხი (მოხარშული) | 80 | 60 | 15 | 10 | 7 | 4 |
| ტორტი (ულუფა) | 200 | 156 | 38 | 24 | 18 | 10 |
| ჭიქა ლუდი | 114 | 88 | 22 | 14 | 10 | 6 |
| ჭიქა რძე | 166 | 128 | 32 | 20 | 15 | 9 |
| მაკარონის ულუფა | 400 | 310 | 77 | 49 | 36 | 21 |
| დაკეპილი ღორის ხორცი (ულუფა) | 314 | 242 | 60 | 38 | 28 | 16 |

თარგმნა ქ. დემუროვამ

## რჩევები

### რა შეუძლია მარილს

ოთახში, სადაც საღებავის სუნი დგას, ლამბაქით მარილი დადეთ და სუნი მალე გაქრება.

ჭურჭელი, რომელსაც თევზის სუნი ასდის, გარეცხეთ მარილიანი ცივი წყლით.

ყავას თუ ხარშავთ, მასში ჩააგდეთ მარილის პატარა მწიკვი — ყავის გემო სრულად გამომჟღავნდება.

თუ ტაფაზე ცხიმი ქაფდება, ცოტაოდენი მარილი მოაყარეთ.

ცხვირსახოცები გარეცხვის წინ 2-3 საათით დაასველეთ მცირეოდენ მარილიან თბილ წყალში.

თუ ხაოიან პირსაწმენდს გარეცხვის შემდეგ გაავლებთ მარილიან წყალში, პირსაწმენდი დარბილდება.

გაყვითლებული ტიული გარეცხვის წინ დაასველეთ მარილიან წყალში.

უმ კვერცხს, განსაკუთრებით ცილის ათქვეფისას აუცილებლად დაუმატეთ მარილი, კვერცხის ათქვეფა გაიოლდება. (ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმ შემთხვევას, როცა კვერცხს ვთქვეფავთ შაქართან ერთად).

კვერცხი მარილიან წყალში მოხარშეთ, თუ კვერცხი გასკდა არ გადმოიღვრება.

დაჭრილი ვაშლი მოხარშვამდე რომ არ „დაჟანგდეს“, ოდნავ დამარილებულ წყალში შეინახეთ.

როცა ქარხალი ძირის განვითარებას იწყებს, მარილი გახსენით წყალში და მცენარეს ძირში დაუსხით: ჭარხალი გატკბება, ნორმა: ჩაის კოვზი მარილი ვედრო წყალზე ერთი კვადრატული მეტრი ნიადაგის მოსარწყავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ გამოვიყენოთ სუფრის ძმარი

გაშავებული ალუმინის ჭურჭელი ძმარში დასველებული ბამბით გაწმინდეთ.

ოდნავ შემჭკნარი მწვანილი ჩააწყეთ ძმრიან წყალში, მწვანილი გაცოცხლდება.

თუ ხორცი დროზე ვერ დაამუშავეთ და უსიამოვნო სუნი დაჰკრავს, გარეცხეთ ძმრიან წყალში.

ქაშაყის გასუფთავების შემდეგ ხელები დაიბანეთ ძმრის სუსტი ხსნარით.

კარადის კედლები დროდადრო გაწმინდეთ ძმრით, სუნი მოსცილდება.

## ვისაუბროთ ლიმონზე

ლიმონი რომ არ გახმეს, ცივ წყალში უნდა შევინახოთ.

მოხმარებამდე ლიმონს გადავასხათ ცხელი წყალი, რომ მკვეთრად იგრძნობოდეს მისი ქერქის არომატი.

წვენის გამოწურვა უკეთესია გამთბარი ლიმონიდან, ამ წესით მეტი წვენის მიღება შეიძლება.

თეთრეულს ჟანგი შეიძლება მოვაცილოთ შემდეგი წესით: ლაქაზე დავდოთ თეთრ ქაღალდში შეხვეული ლიმონის ნაჭერი და ზევიდან ცხელი უთო დავაჭიროთ.

ნაჭუჭგამსკდარი კვერცხი შეიძლება მოვხარშოთ, თუ წინასწარ გაბზარულ ადგილზე ლიმონის წვენს წავუსვამთ.

სამზარეულოსა და აბაზანაში ონკანები რომ პრიალებდეს, ისინი უნდა გავწმინდოთ ლიმონის ქერქით, გადავავლოთ წყალი და გადავუსვათ მშრალი ჩვარი.

თენგიზ კახელიშვილი

# მოდა

რაოდენ სასიამოვნოა, როდესაც ნებისმიერ ასაკში, ქალი მოდურად, მოხდენილად გამოიყურება; ყველა ქალს სურს ჰქონდეს ზომიერებისა და სტილის გრძნობა; ერკვეოდეს სად და როდის, როგორ და რა ჩაიცვას; გონივრულად შერჩეული ტანსაცმელი ხაზს უსვამს ჩვენს ინდივიდუალობასა და გემოვნებას.

მოდა, თითქმის ყველა სეზონზე, ახალს, განსხვავებულს გვთავაზობს, ყოველი სიახლე კი ბადებს ახალ განწყობილებას, ახალ სახეებს, ფერთა თავისებურ გამას; იწვევს სილუეტის, სტილისა და ყოველი კომპონენტის ახლებურად გააზრებას.

მიმდინარე მოდა კვლავაც მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია სტილითაც და სილუეტითაც — გამოკვეთილად ელეგანტური. კვლავ ჰარმონიულად მონაცვლეობს კლასიკური, რომანტიკული და სპორტული სტილის კომპლექტები, წინანდებურად ვითარდება ოთხი ძირითადი სილუეტი: სწორი, რომელიც დაამშვენებს მსუქნებსაც, ტრაპეცია, ტანზე მოყვანილი და ნახევრად მოყვანილი.

ყურადღებას იქცევს მხრის ხაზი — იგი ახლებურად დაგრძელებულია, იღებს თაღისებურ ფორმას ან მოხდენილად ქვემოთ ეშვება. ცვლილება შეინიშნება ტანსაცმლის სიგრძეშიც; იგი შესამჩნევად დამოკლდა — ოდნავ ფარავს მუხლს, თუმც სიგრძის ხაზმა შეიძლება მუხლის ქვემოთ, 10-12 სმ-ითაც დაიწიოს.

აქცენტირებულია საყელო — „წალევოი", გადაფენილი და მდგარი. საყელო — ბაზთა.

რომანტიკულ სტილში აჟღერდა მომრგვალებული ფორმის პატარა სახელო, სახელო რეგლანი, მთლიანად გამოჭრილი, მოკერებული.

ფერებში ტონის მიმცემია მშვიდი, კლასიკური და გაჯერებული: მკვეთრი. ბუნებრივთან შედარებით, ინტენსიური ფერები.

ზამთარში, რა თქმა უნდა, ქურქი უკეთ დაგვათბობს, ამიტომ, მოდა უხვად გვთავაზობს ხელოვნური და ნატურალური ბეწვისაგან შეკერილ პალტოებს. ზამთრის პალტოებისათვის ძირითადად გამოიყენება დრაფის ქსოვილი და ტვიდი.

ყურადღებას იქცევს პალტო „რედინგოლტი" — ერთკალთიანი და ორკალთიანი.

განსაკუთრებული მრავალფეროვნება შეინიშნება ქუდებში, იგი უდაოდ ამდიდრებს ქალის ზამთრის გარდერობს. ქალურობასა და ელეგანტურობას უსვამს ხაზს პალტოსთან შეხამებული სხვადასხვა ზომის ბერეტები,ნაირგვარად მორგებული „შლიაპები".

ტრადიციულ ადგილს იჭერს პალტოსა და ქუდთან გემოვნებით შერჩეული „შარფი"; ამასთანავე მოდურ აქსესუარებად ითვლება „შალი", პატარა ყელსახვევი, სხვადასხვა სამკაული, ნაირგვარი სარტყელები.

გთავაზობთ ზამთრის ქუდებისა და პალტოების რამდენიმე მოდელს.

გარეკანზე — მხატვარი-დეკორატორი მანანა სუარიძე-ამირა ჯიბი და მისი ნამუშევრები. დ. იაკობაშვილის სლაიდი.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: გ. ბანძლაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ქლენტი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №,№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 8/X-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/XI-80 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.2
ტირაჟი 134.100. შეკვ. 2688. უე 00740.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტექსტისა და მოდელების ავტორი მხატვარი-მოდელიორი ია სხირტლაძე

# ზამთარია, ცივა, ცივა...



